საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდეული სიფცეა, ფეფილებით და ჭიტებით ბუტთის გაფანა ყველა უკარტისიბაგზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 17 ივლისი. 2023 წ. №83 (9615) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ო, ბინძურო პოლიტიკავ!

გვისსენით „მეგობრებისგან“ და... ქვეყნის მაოხრებელ სააკაშვილს ჩვენ თვითონ მოვუვლით!

იხ. 2 გვ.

ირაკლი ღარიბაშვილი:

ევროპარლამენტარებმა ბოდიში უნდა მოუხადონ ჩვენს სახელმწიფოსა და საზოგადოებას იმ დეზინფორმაციულ კამპანიაში მონაწილეობისთვის, რაც იკადრეს

ვერ ელირსებით ჩვენს ზნეობრივ წახდენას!

ალი ბაბაევი:

საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე

იხ. 4 გვ.

პოლონელი ექიმი კრიმინალია, მისი „გაშიფვრით“ დიდ პროვოკაციას ავცდით!

იხ. 5 გვ.

ლადო ბოჭაძე:

როცა სააკაშვილი უკრაინაში თმებით ათრიეს, მოქალაქეობა ჩამოართვეს, თვითმფრინავში ჩასვეს და ქვეყნიდან გააძევეს, მაშინ მესამე პრეზიდენტი არ იყო?

ხუდონჰესი აშენდება მოსახლეობის ინტერესთა გათვალისწინებით!



იხ. 6 გვ.

გელათი არ ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს, ის მსოფლიო მემკვიდრეობაა...

იხ. 7 გვ.

„უძველესი პროფესიები“

პროსტიტუციის ისტორია

ცოდვილი რუსეთი

125 წელი! რომანოვების ამოხოცვის

იხ. 8 გვ.

გვიხსენით „მეგობრებისგან“ და... ქვეყნის მაოხრებელ სააკაშვილს ჩვენ თვითონ მოვუვლით!

ირაკლი ღარიბაშვილი: ევროპარლამენტარებმა ბოდიში უნდა მოუხადონ ჩვენს სახელმწიფოსა და საზოგადოებას, იმ დეზინფორმაციულ კამპანიაში მონაწილეობისთვის, რაც იკადრეს

„წერილები, რაც ჩვენ მივიღეთ თუნდაც ევროპარლამენტარებისგან, მინდა აღნიშნო, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ მოგვმართონ და გარკვეული რჩევები მოგვცენ, მათ კიდევ ერთხელ შევახსენებდი, რომ ბოდიში უნდა მოუხადონ ჩვენს სახელმწიფოს, ქვეყანასა და საზოგადოებას იმ დეზინფორმაციულ კამპანიაში მონაწილეობისთვის, რაც მათ იკადრეს, თითქოს სააკაშვილი მოწამლა მთავრობამ, კვდება და ა.შ.

ამიტომ, ეს საკითხი მინდა, რომ დასრულდეს. ჩვენ დასამალი არაფერი არ გვაქვს. ჩვენი მთავარი ამოცანა არის მშვიდობის შენარჩუნება, სწრაფი განვითარება ქვეყნის და რაც მთავარია, ჩვენი ქვეყანა უნდა გავიყვანოთ სამშვიდობოს“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

საქართველოს მთავრობა პატიმარ სააკაშვილს ეპყრობა ევროპული სტანდარტების მიხედვით

„მრავალთვიანი უშედეგო კამპანია დასრულდა რამდენიმე კვირის წინ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით. რომლის მიხედვითაც, დადგინდა, რომ საქართველოს მთავრობა, მათ შორის, პატიმარ სააკაშვილს ეპყრობა საუკეთესო, ევროპული სტანდარტების მიხედვით. ყოველგვარი ბრალდება, ცილისწამება იმის თაობაზე, რომ სააკაშვილი ვიღაცამ მოწამლა, კლავენ, აწამებენ, სრული სიცრუეა.

იცით, რომ პატიმარი სააკაშვილი 24-საათიანი მონიტორინგის ქვეშ იმყოფება. 2 000-ზე მეტი შეხვედრა ჰქონდა მას გამართული. წელიწადზე მეტია, იგი იმყოფება კერძო კლინიკაში და არა – ციხეში. აღარ მინდა სპეკულაციები გავაგრძელო, ჩვენი ხალხი ხედავს სიმართლეს, ჩვენმა საერთაშორისო თანამეგობრობამ ძალიან კარგად გაიგო. მე მქონდა არაერთი საუბარი ჩვენს ევროპელ მეგობრებთან. მათ კარგად იციან, რა ხდება, რეალობა სად არის და სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება იყო მთავარი მარწმუნებელი, დამამტკიცებელი ჩვენი სიმართლის“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

სააკაშვილმა როცა უკანონოდ გადმოკვეთა საზღვარი, მაშინ რატომ არ მოხდა არავითარი რეაგირება?

უკრაინის კანონმდებლობით, მე როგორც ვიცი და შევისწავლე ეს საკითხი, საზღვრის კვეთა უკანონოდ არის ასევე დანაშაული, როგორც ჩვენთან არის დანაშაული, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შოვში, მთის დღეების ფარგლებში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, სააკაშვილმა როცა გადმოკვეთა საზღვარი უკანონოდ ჯერ უკრაინაში და შემდეგ ჩვენთან, დაარღვია კანონი უკრაინაშიც.

„კითხვა უნდა დავსვათ, – მაშინ რატომ არ მოხდა არავითარი რეაგირება, ომამდე ხდება ეს ყველაფერი. მე მქონდა პირადად საუბარი ზელენსკისთან. ჩვენ მას გავუზიარეთ მტკიცებულებები, რომელიც ჩვენ გაგვაჩნდა, ოპერატიული და სხვა წყაროებით და ეს გამოძიების შედეგად დადგინდა, მათი ჩართულობა, მათ შორის, გია ლორთქიფანიძის ჩართულობა, ყოფილი მინისტრის მოადგილის ჩართულობა. ნაცვლად იმისა, რომ რაიმე რეაგირება მოეხდინათ, ეს ადამიანი დააწინაურეს, გახდა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოადგილე, თუ არ ვცდები. ამით ჩანს დამოკიდებულება. ამიტომ ნუღარ გაუკვირდებათ, აქ რომ ისმის კონკრეტული დასაბუთებული ეჭვი და ვარაუდები და კონკრეტული მტკიცებულებები თუნდაც, ნუ გაუკვირდებათ, იმიტომ, რომ ძალიან რთულია საზოგადოების მოტყუება. ჩვენ ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად ვიცით, ვიცით მიზანი, რის გამოც ჩამოვიდა სააკაშვილი. აქ რომ უნდა მოეწყო რევოლუცია, გადატრიალება, არეულობა და 2 თვეში ომი დაიწყო. ამის შემდეგ გახსოვთ თქვენ, უკრაინის ხელისუფლების განცხადებები, რომ სააკაშვილი არის ომის ადამიანი, რომ იგი ომს დაიწყებდა რუსეთის წინააღმდეგ, რომ ჩვენი ხელისუფლება, ჩვენი მთავრობა თურმე არ არის ომისთვის განწყობილი. ასევე მოვისმინეთ განცხადებები, უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადება, რომ მათი სურვილი იყო მეორე ფრონტის გახსნა. სიტყვა მეორე ფრონტი მათგან მომდინარეობს. ეს ჩვენ კი არ მოგვიგონია. რატომ უკვირთ, რომ ხალხს აქვს გარკვეული იმედგაცრუება და თუნდაც განაწყენებული ვართ!..

ირაკლი ღარიბაშვილი პოლონელ ექიმზე: მაინც რა იდგა ბიოლოგიური ნიმუშების დამალვის იდეის უკან!

„რაც შეეხება პოლონელი ექიმების ჩამოსვლას, ეს საკითხი არის ძალიან პოლიტიზებული და სახეზეა საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობები, უფრო ქვეყნის გარეთ, ვიდრე ქვეყნის შიგნით. ჯერ კიდევ შარშან, ნოემბერში, გვქონდა მსჯელობა ამის თაობაზე და იუსტიციის მინისტრმა საჯაროდ თქვა, რომ სააკაშვილის ოჯახს შეუძლია ჩამოიყვანოს ნებისმიერი ექიმი ნებისმიერი კლინიკიდან და რომ ჩვენ არავითარ ბარიერს არ შევუქმნიდით მათ. თვეების განმავლობაში ველოდით მათ ქმედით ნაბიჯებს, რომ ჩამოეყვანათ ექიმები.

ბევრი სპეკულაცია იყო და ბოლოს, როგორც ვიცი, პოლონეთის საელჩო ჩაერთო ამ პროცესში და მათ ჩამოიყვანეს ექიმები. მას შემდეგ, რაც მათ გაიარეს კონკრეტული პროცედურები, ჩვენგან ერთგვარი კეთილი ნება დადასტურდა და გავუკეთეთ ერთგვარი უფსტი. მინდა ვთქვა, რომ პოლონეთში ამჟამად არის საარჩევნო კამპანია და სააკაშვილთან დაკავშირებული გარკვეული ჯგუფები როგორც ჩანს აქტიურად განიხილავენ პოლონეთში სააკაშვილის პატიმრობის საკითხს.

მათთვის ეს წმინდა შიდაპოლიტიკური საკითხია. როგორც ჩანს, ამას ემსახურება მათი ზედმეტი აქტიურობა. მე ეს ვიცი ჩვენი პოლონელი მეგობრებისგან – არ მინდა დეტალებში შევიდე, მაგრამ ჩვენგანაც ეს ერთგვარი უფსტი იყო, მით უმეტეს რომ არაფერი გვაქვს დასამალი. მოხდა სამარცხვინო და შემაშფოთებელი ფაქტი და მათ თავადვე მოახდინეს ამ პროცესის დისკრედიტაცია, როცა დამალეს ის ნიმუშები, რომელიც აიღეს ოფიციალურად, ჩვენი თანხმობის შემდეგ. შესაძლოა, მათ ჰქონდათ სხვა განზრახვები. ამას დრო გვაჩვენებს – რა იდგა ნიმუშების დამალვის იდეის უკან, მაგრამ ჩვენ არავის აღარ მივცემთ უფლებას და საშუალებას, რომ ამ საკითხით დაამინონ საზოგადოება და საერთაშორისო თანამეგობრობა შეიყვანონ შეცდომაში“...

უნიჭო არტისტი

ჯადრაპს შემთხვევით როდი უწოდებენ ბრძენთა თამაშს. ნონა გაფრინდაშვილის სამშობლოში კარგად ვიცით, როგორი გენიალური კომბინაციები იხლართება 64-უჯრიან დაფაზე, თვით ტალეირანსა თუ მაკიაველსაც რომ აღაფრთოვანებდა და ადამიანის გონებრივ რესურსთა უსაზღვროობაში დაარწმუნებდა.

აღნიშნული ინდური საოცრების ერთ-ერთ პოპულარულ ტერმინს ციტნოტი წარმოადგენს და ვაი მას, ვისაც ალამი ჩამოუვარდება – „დამნაშავე“ ვალდებულია მეტოქეს გამარჯვება მიულოცოს. ახლა კი, მოდით, მთავარ სათქმელზე გადავიდეთ, რამაც აღმოსავლურ-სპორტული შესავალი მიკარნახა.

გაისად არჩევნებია საქართველოშიც, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპარლამენტშიც – ერთბაშად! დიახ, ეტყობა ასეთი ერთობლიობა განაპირობებს იმ ვნებათაღელვას, თანდათან შეუქცევადი პროცესის სახეს რომ იღებს პოლარიზაციით ისედაც მოჭარბებულად დამუხტულ ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში.

ბუნებრივია, ხანმოკლე გაყუჩების შემდეგ მოვლენათა ეპიცენტრში ისევ ადამიანი – დესტრუქცია ტრიალებს. მართალი ბრძანდებით – ქვეყნის მესამე პრეზიდენტს ვგულისხმობ, რომელსაც უკვე „ვივამედის“ ლუქს-პალატაც ამოუვიდა ყელში და გარდასახვის მწვერვალების დაპყრობაზე გადავიდა.

არა, უნიჭო არტისტი მიშაში ყოველთვის ბუდობდა, მაგრამ, ჩვენგან განსხვავებით, ბრიუსელის კანტორის სულგაყიდული კანონმდებლები თავიანთ სპონსორს ხელობას უქებენ და, ასე განსაჯეთ, ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების მსხვერპლთაც კი ადარებენ. რას ვიზამთ – ფულით შობილი ლობისტობა რას არ ჩაგადენინებს კაცს.

სახელმწიფოს მეხუთე უმაღლესი მთავარსარდლისგან ჯერაც შეუწყალებელი გაუკრაინელებული წინამორბედის თვითდაზიანების ფონზე თავისუფლების სიოს ინტენსიურად ისუნთქავს ქალბატონ სალომეს აჩუყებული გულის პროდუქტი ნიკა გვარამია, რომელმაც სტრასბურგში მადლიერების მარშის შემდეგ კიევშიც შეინავარდა და თვით დავით არახამიასთან უნისონში ყლაპა მშობლიური სოხუმის მონატრებით ნასაზრდოები ნოსტალგიური ცრემლები.

მოდი და ამის შემდეგ ნუ იწამებ, რომ სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი ერთნაირად იმონებს ზონდერ-პროკურორსაც, მედია-მენეჯერსაც თუ ომის ქარცეცხლში სხვისი დროშით გახვეულ თანამედროვე მამლუქსაც.

სხვა საკითხია, თუ რაზე ისაუბრეს კულისებში ბედკრული საქართველოს მკერდმოჭრილი აფხაზეთის გულდათუთქულმა შვილებმა, თუმცა ერთი რამ ხელისგულზე ძევს – სტატიის დასაწყისში ნახსენები ციტნოტი მათ ძვირფასი დროის ფლანგვის საშუალებას აღარ უტოვებს და ყოველი წუთი „რუსული ოცნების“ ისტორიულ სანაგვეზე გასტუმრებას უნდა მოხმარდეს – სასწორზე ხომ ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის საშვილიშვილო შანსია შემოდებული!

აი, აქ კი სდექ, მკითხველო – თქვენ გგონიათ, შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს ვილნიუსის სამიტზე პრემიერის მიუწვევლობა, ევროკავშირის ეგიდით პოლონელ ექიმთა სააკაშვილთან შეშვება და ყოფილ ამერიკელ ელჩთა აწკავწკავება პრაიდის ჩაშლილი წაკუნტრუშეგის გამო?

ნურას უკაცრავად – ეს მხოლოდ ჟურნალია და არჩევნებამდე დარჩენილ წელიწადში დასავლეთი მრავალი პრემიერით გაგვანებივრებს.

გათვლა და მიზნები რომ უაღრესად სერიოზული აქვთ ერის ბედზე მჭმუნვარე ოპოზიციონერ მამულიშვილებს, მათი საკადრო ჭინთვებიც მოწმობს – ჯერ სწორუპოვარ „ხაბეზე“ არ აგვიღია ალღო მისი ნიჭით და მარადმწვანე მეორე პარტიის – ნაცმოძრაობის არნახული ტრიუმფით გაძღოლის უნარით მოჯადოებულ მტერ-მოყვარეს, რომ ცის კაბადონზე უკვე ჭიჭე ვაშაძის მომნუსხველი სილუეტი გაკრთა. არა, ესენი ძალიან შორს წავლენ...

რაღა გვიჭირს!

ზემონახსენებ პოლონელ მედიკოსთა ეგზეკუციასთან დაკავშირებით დავძენთ, რომ ერთ-ერთმა მათგანმა თავი რომელიღაც სინჯის წინდაში მოთავსებით გამოიჩინა და როცა ფაქტზე გასკვანჩეს, არც აცია, არც აცხელა და, ვითომც არაფერი, ისე დასჭექა – ეს ჩემი საფირმო მეთოდიაო. კიდევ კარგი, ღამის საცვლებით არ სარგებლობს.

ნაცმოძრაობის გურუმ – გიორგი ბარამიძემ ჩვეული ნაგლობით მოუძებნა ახსნა აღნიშნულ კრიმინალს – მერე რა მოხდა, დანაშაული ხომ არ ჩაუდენია, სადაც უნდა, იქ მოათავსებს ნივთსო. არადა, მისი პარტია არ იყო, ირაკლი ბათიაშვილი ორი სიტყვისთვის რომ მოათავსა ციხის საკანში – „ბიჭებო, გამაგრდითო?!“

გია პლატონიშვილი

პრეზიდენტად - ლომჯარია!, პრემიერად - ვაშაძე!, ოპოზიციის ლიდერად - გვარამია!

ეს თუ განხორციელდა, საქართველო ყველამ უნდა დავტოვოთ!

დიდი ოპოზიციური გაერთიანება ვერ შედგება, რადგან „ნაციონალურ მოძრაობა“ გიორგი ვაშაძეს ოპოზიციის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად არ წარადგენს. „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი კი ყოფილ პარტიასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში გაერთიანდება, თუკი პრემიერად წარადგენენ.

პაატა მანჯგალაძის განცხადებით, თუ იქნება შეთანხმება და გიორგი ვაშაძე ოპოზიციის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი გახდება, მხოლოდ წაადგება საერთო ოპოზიციურ პროცესს.

for.ge-ს ინფორმაციით ვაშაძის პრემიერობის საკითხი ამ ეტაპზე არ განიხილება, მაგრამ მიმდინარეობს კონსულტაცია დიდი ოპოზიციური კოალიციის შექმნის შესაძლებლობის შესახებ, რომელიც იქნება არა მესამე ძალა, არამედ ძალა, რომელიც, დაამარცხებს ხელისუფლებას არჩევნებში!

„ჩვენ ვსაუბრობდით კრიტერიუმებზე და მთავარი კრიტერიუმი არის გაკეთებული საქმე, რისი გაკეთების რესურსი აქვს კონკრეტულ ლიდერს. თუ ამაზე მიდგა საქმე, 28 წლის გიორგი ვაშაძემ, მინისტრის მოადგილის პოზიციიდან გააკეთა უნიკალური რეფორმა იუსტიციის სახლების სახით, რომელზეც საუბრობდნენ ინგლისის პარლამენტში, ამაზე გადაცემებს აკეთებდა მსოფლიო სხვადასხვა მედია. დღეს საქართველო ცნობილია ქვის და კვერცხის სროლით, ამ პარადიგმის შეცვლა ნამდვილად შეუძლია გიორგი ვაშაძეს. თუ იქნება შეთანხმება ოპოზიციის შიგნით და გიორგი ვაშაძე იქნება პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, ეს მხოლოდ წაადგება საერთო ოპოზიციურ პროცესს“, – ამბობს **პაატა მანჯგალაძე.**

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, **თინა ბოკუჩავა** თვლის, რომ მისასალმებელია, თუ გიორგი ვაშაძე მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად, რა ფორმალიზებული სახეც არ უნდა მიიღოს ამან, მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. თუმცა ამბობს, რომ ვაშაძის პრემიერობის კანდიდატად დასახელებაზე დისკუსია არ ყოფილა.

„ფორმალიზებული დისკუსია აღნიშნული საკითხის პოლიტსაბჭოს ან სამდივნოს ფორმატში არ მომხდარა, თუმცა მე მხოლოდ მივესალმები იმას, თუ გიორგი ვაშაძე მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, რადგან ვთვლი, რომ ამ ადამიანს, ამ პოლიტიკოსს გააჩნია ძალიან დიდი რესურსი, არის ახალგაზრდა ძალიან დიდი რესურსის მქონე პოლიტიკოსი, რომელიც ასოცირდება სერიოზულ მიღწევებთან და რეფორმებთან და ვფიქრობ, რომ ერთობლივად ჩვენ შეგვიძლია ძალიან მევრი რეფორმის განხორციელება ხალხის კეთილდღეობისთვის მომავალში“, – განაცხადა **თინა ბოკუჩავამ.**

ვაშაძის მომავალზე პარტიაში საბოლოო სიტყვა ეკუთვნის, პარტიის მთავარ იდეოლოგს, ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ **ვანო მერაბიშვილს** და ასევე, ოლიგარქ **დავით კეზერაშვილს,** რომელიც ფულს იხდის. როგორც ჩვენი წყარო აცხადებს, პარტიაში გადაწყვეტილია, რომ სექტემბერში პარტიაში იქნება გადაადგილება. კერძოდ, მოქმედ თავმჯდომარეს, **ლევან ხაბეიშვილს** პარტიის გენერალური მდივანი, **პეტრე ცისკარიშვილი** შეცვლის, რომელიც ასევე ითხოვს პრემიერობას. ოპოზიციაში პრემიერის თანამდებობაზე ომი დაწყებულია, თუმცა, როგორც ჩვენი წყარო ამბობს, შემოდგომაზე პოლიტიკურ ველზე სრულიად ახალი პოლიტიკური ძალა შემოდის, რომელიც არც ხელისუფლებასთან და არც ოპოზიციასთან არ ასოცირდება.

„ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრი **ხატია დეკანოიძე** აცხადებს, რომ პარტიაში მისი ყოფნის დროსაც ჩანდა, რომ გიორგი ვაშაძის პარტია იქნებოდა ინტეგრირებული „ნაციონალურ მოძრაობაში“, თუმცა არ ფიქრობს, რომ ამით დამატებითი ხმები შევიდეს პარტიაში. მისი თქმით, მთავარი უნდა იყოს არა სიები ან პრემიერ-მინისტრობის კანდიდატები, არამედ „ქართული ოცნების“ დამარცხების სერიოზული გეგმა.

* * *

„ჩრდილოვანი მმართველობით, რა თქმა უნდა, არჩევნებში ვერ გაიმარჯვებ, მით უმეტეს, როცა ჩრდილოვანი მმართველები არიან: ადეიშვილი, კეზერაშვილი და მერაბიშვილი. გამომდინარე აქედან, მიხვდნენ, რომ ხაბეიშვილის იმედზე დესტრუქციული აქციებიც არ გამოსდით და არიან ამ ძიებაში და დიფუზიაში. მე ვფიქრობ, რომ ნიკა მელიას და დარჩენილი „ნაციონალური მოძრაობის“ გზები უკვე გაყრილია.

აქ, ალბათ, ახლა გრძოლა მიდის, თუ ვის რა მემკვიდრეობა დარჩება „ნაციონალური მოძრაობის“ მორიგი გაყოფიდან, რადგან თუ ნიკა მელია დატოვებს პარტიას, როგორც ჩანს, „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სტრუქტურის აქტივის ნაწილი შეიძლება გაჰყვეს ნიკა მელიას და აქედან გამომდინარე, შიდაპარტიული გახლეჩის პროცესი მიმდინარეობს. ეს პროცესი დასულია პირველად ორგანიზაციამდე, კონკრეტულ პარტიულ აქტივისტამდე – ვინ ვის პოზიციას დაიკავებს და მხარს ვინ ვის დაუჭერს“, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას „ქართული ოცნების“ პარლამენტარმა **ირაკლი ქადაგიშვილმა.**

* * *

ანალიტიკოს **ვახტანგ ძამირაძის** დაკვირვებით, დიდი ოპოზიციური ერთიანობა მარცხისთვის განწირულია. მისი თქმით, ქართული პოლიტიკური სპექტრის და საზოგადოების ამოცანა ისაა, რომ ხელი შეუწყოს ერთი ან რამდენიმე მსხვილი გაერთიანების ჩამოყალიბებას, რომელსაც 5%-იანი ბარიერის გადალახვა გარანტირებული ექნება. რაც შეეხება აღნიშნულ პროცესებში „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის, გიორგი ვაშაძის როლს და მისი პარტიის განცხადებებს, რომ ვაშაძე, შესაძლოა, პრემიერობის კანდიდატი იყოს, ძამირაძე ამბობს, რომ თუ ვაშაძე თავს წონად ლიდერად თვლის, 5%-იანი ბარიერის დაძლევის შანსი უნდა ჰქონდეს.

„თუ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მიდის, ეს სხვის გაწყობილ მაგიდაზე მისვლაა და მაშინ რა ლიდერობაზეა საუბარი? ვაშაძე ცალკე აღებულად თავს თუ წონად ლიდერად თვლის, 5%-იანი ბარიერის დაძლევის შანსი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამის შანსი ხომ არ აქვს და აბა, რისი ლიდერია მაშინ? პოლიტიკური პარტიები ასეთ განცხადებებს რომ აკეთებენ, რა ანალიზის საფუძველზე აკეთებენ? ანალიზი ხომ უნდა, მხოლოდ სურვილი ხომ არაა? რა შედეგის მომტანი იქნება ასეთი გადაწყვეტილების მიღება, რა პლუსები და მინუსები აქვს? ამას ვინმე განიხილავს ოპოზიციურ სპექტრში თუ როგორ არის, დასკვნას როგორ აკეთებენ? ელექტორატი ასეთი გამჭვირვალე არ ყოფილა, თითქოს მარტივად ჩანს ყველაფერი – არიან „ქართული ოცნების“ მომხრეები, „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები და მესამე ნაწილი, რომელსაც არც ერთი უნდა და არც - მეორე. როდესაც არჩევანი დგება, ამ მესამე ნაწილის დაახლოებით 60% არჩევანს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ აკეთებს“, – აცხადებს **ვახტანგ ძამირაძე.**

* * *

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** შეფასებით, ვაშაძის, როგორც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წარდგენა ოპოზიციური ფლანგიდან სავსებით შესაძლებელია, მაგრამ საინტერესოა, საღ ჭკუაზე მყოფმა ადამიანებმა ტოლობის ნიშანი როგორ უნდა მიაწერონ წარდგენასა და გახდომას შორის.

„კი, ბატონო, მე წარმომიდგენია ამაზე უფრო შორს მიმავალი გეგმები, სადაც შეიძლება ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი იყოს ნინო ლომჯარია, პრემიერ-მინისტრი გიორგი ვაშაძე, ნიკა გვარამია იყოს გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი, მაგრამ ეს არის მათი შიდა სამზარეულოს გეგმები, რომელიც თუ განხორციელდა, მაშინ ეს ქვეყანა ყველამ უნდა დავტოვოთ, რადგან აქ დარჩენას უკვე აზრი არ აქვს. ამ გეგმების განხორციელებას რეალური საფუძველი, ვფიქრობ, არ გააჩნია, თორემ, კი ბატონო, დააყენონ, მათთვის ძალიან საინტერესო კანდიდატებია“!..

თამთა ძარჩავა

ვახტანგ მაისაია:

ყვარყვარიზმი,

ანუ ირაკლი კობახიძე საკუთარ თავს ეწინააღმდეგება!

ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ პუტინის სიცოცხლეში საქართველო და უკრაინა ვერასდროს გახდებიან ნატოს წევრები. ამის მიუხედავად, ნატოს კართან ორპირ ქარში დგომა მოლოდინის რეჟიმში გრძელდება.

მმართველი პარტიის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** მიიჩნევს, რომ დღეს ვერავინ იტყვის ვერც უკრაინაში, ვერც საქართველოში, როდის გახდება ერთი ან მეორე ქვეყანა ნატოს წევრი. ამდენად, ნატო-საქართველოს შორის არსებული მდგომარეობის დიდი ხნით გაგრძელება ქვეყნისთვის მუდმივ რისკებს ქმნის. უკრაინაშიც დიდხანს კარში დგომამ მძიმე შედეგი გამოიწვია.

რატომ გაჩნდა ნატოს მიმართ სკეპსისი მმართველ გუნდში, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ საქართველომ საკუთარ სტრატეგიას შესაძლოა, გადახედოს ნატოსთან მიმართებით?

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თამარ კიკნაძე** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ აბსოლუტურად სწორია ირაკლი კობახიძე. თუკი უკრაინაში მიმდინარე პროცესებს გავითვალისწინებთ, საქართველოსთვისაც საფრთხის შემცველია ნატო-საქართველოს შორის არსებული მდგომარეობის დიდი ხნით გაგრძელება, რადგან ნატო არ იძლევა დაცვის გარანტიას.

მისი შეფასებით, უკრაინის ამბავი დაიწყო ნატოში უკრაინის გაწევრების სურვილითა და რაკეტების განლაგებით რუსეთის საზღვართან. დღეს მძიმე დროა, ამდენად, სიფრთხილეა საჭირო და ჩვენი ხელისუფლება ამ სიფრთხილეს იცავს.

„ძალიან კარგია, რომ დაიწყო საუბარი იმაზე, რაზეც აქამდე არ ლაპარაკობდნენ. უპირველესია ჩვენი პრაგმატული პოლიტიკა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ნატოს პრობლემა ხელოვნურად არის ყურით მოთრეული, რომ ამ მიზეზით მოხდეს მსოფლიოს ახალი გადანაწილება. ეს გადანაწილება დღეს უკრაინის ხარჯზე ხდება, უკრაინა აღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო. პარალელურად, მიმდინარეობს პოლიტიკური ვაჭრობა. საერთოდ, მიმაჩნია, რომ საქართველოს საგარეო კურსის კონსტიტუციაში ჩაწერა შეცდომაა, რადგან პოლიტიკაში ძალიან დინამიურად მიმდინარეობს პროცესები და პალმერსტონის გამონათქვამი უნდა გვახსოვდეს, „არ არსებობს მუდმივი მტრები და მეგობრები, ინგლისს აქვს მუდმივი ეროვნული ინტერესები“. ინგლისი ამაში ძალიან გამოცდილი საერთაშორისო აქტორია, საქართველომაც უნდა იმოქმედოს საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად“, – აღნიშნა თამარ კიკნაძემ.

იხ. 6 გვ.

პოლონელი ექიმი კრიმინალია, მისი „გაშიფვრით“ დიდ პროვოკაციას ავცდით!

8 ივლისს რეგიონულ პრაიდზე საქართველო უნდა გამოცხადებულიყო ლგბტ მიმდევართა თავშეყრის ცენტრად კავკასიაში!

ლგბტ პრაიდის ჩატარება არა მხოლოდ მართლმადიდებლებისთვის, არამედ საქართველოში მცხოვრები სხვა რელიგიური აღმსარებლობის პირებისთვისაც მიუღებელი გახლავთ. საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ALI BABAEVI ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ლგბტ პრაიდის ჩატარებას ერისა და კულტურის შეურაცხყოფად მიიჩნევს და პრაიდის შესახებ სკანდალურ განცხადებას ავრცელებს.

– ბატონო ALI, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების დღესასწაული საქართველოში ვერ განხორციელდა ისე, როგორც დაგეგმილი ჰქონდათ. კაცმა რომ თქვას, მართლაც სირცხვილია, საქართველოში მათ აღლუმი ჩაატარონ.

– აღშფოთებული ვარ, ნამდვილად შემზარავი პროცესები ვითარდება ლგბტ თემის მიერ საქართველოში, მათი საჯვო გააქტიურება და ვითომ უფლებების დაცვისთვის ბრძოლა არის გარედან თავსმოხვეული ბინძური კამპანიის ნაწილი, რაც შეურაცხყოფს ჩვენს ტრადიციებს, მენტალიტეტს, კავკასიურ ადათ-წესებს და ჩვეულებებს; მაგრამ ეს კიდევ არაფერი. იცით თუ არა, რომ დაგეგმილი ჰქონდათ, პრაიდს რეგიონული სახე მიეღო, რის გამოც სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილი ჰყავდათ ლგბტ ადამიანები, რათა საქართველო გამხდარიყო მაგალითი რეგიონში ლგბტ პრაიდის გრანდიოზულად გამართვის თვალსაზრისით.

ჩემი ინფორმაციით, ამ ე.წ. „პრაიდზე“ ჩამოსული იყვნენ მეზობელი ქვეყნების ლგბტ პირები, ასევე შუა აზიელები, აპირებდნენ ჩვენი ისტორიული ადათ-წესების დაცინვას და საუკუნეების განმავლობაში შექმნილი სიწმინდეების ფეხქვეშ გათელვას. ეს ზნედაცემული ადამიანები ებრძვიან საქართველოს, რომ გული, სული, წეს-ჩვეულებები და სიწმინდე გამოხრან, დაამინძურონ და მოსპონ.

აშშ-ის ელჩმა და სხვა ელჩებმა თქვეს, რომ ეს არის დემოკრატიის გამოხატულება. თუ ასეა, წავიდნენ, ბატონო და რაც უნდათ, ის ქნან სხვებან, მაგრამ საქართველოში არა. ასეთი რამ მიუღებელია მართლმადიდებლებისთვის ისევე, როგორც ჩემთვის, მორწმუნე მუსლიმანისთვის.

თურქეთში, აზერბაიჯანში, სხვა მუსულმანურ ქვეყნებში ლგბტ პრაიდების ჩატარება მიუღებელია და მე მოხარული დავრჩი, რომ ქართველებმა დაიცვეს საკუთარი ღირსება რეგიონში, კავკასიაში, დაიცვეს ის წესი და რიგი, რითაც ცხოვრობდა საქართველო საუკუნეების განმავლობაში.

მე საქართველოში ვცხოვრობ, ვარ ისლამის მიმდევარი და არ მინდა, ჩვენს ქვეყანაში ასეთ რამეებს ვხედავდე, არ მინდა ქვეყნის ზნეობრივი წახდენის მომსწრე ვიყო და ხმა არ ამოვიღო ამაზე. ეს დიდ დანაშაულად მიმაჩნია ჩემი მხრიდან. ჩვენმა შეიხმაც გააკეთა განცხადება, დავდგებით იმ ქართველების გვერდით, რომლებიც იცავენ საუკუნოვან ტრადიციებსო.

ახლა იმასაც ამბობენ, სპეციალურად წამოაგეს საქართველო პროვოკაციაზე, რომ არ მიგვიღონ ევროკავშირის წევრობის კანდიდატადო, რაც უნდათ, ის ქნან, სამაჩაბლო და აფხაზეთი თუ არ იქნება საქართველოს შემადგენლობაში, თუ არ იქნება დაცული ქართული ტრადიციები, მაშინ აზრი არ აქვს, რომელ გაერთიანებაში იქნება საქართველო.

ახლახან შევიტყვე, რომ მოლდავეთი თანახმაა დათმოს დნეპრისპირეთი, თუკი მას ნატოს წევრად მიიღებენ. ეს არის ქვეყნის დაშლის და დაქუცმაცების ნათელი მაგალითი და ასეთ რამეს ჩვენ ვერ შევეგუებით.

– ამ ფონზე ყველამ მოვისმინეთ უკრაინის ლიდერის კიდევ ერთი გაკიცხვა საქართველოს მიმართ – ჩვენს მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს კლავთ, მას სათანადოდ ვერ უვლითო. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ საქართველოს ელჩი დაბრუნდა უკრაინიდან.

– მას შემდეგ, რაც დაიწყო საომარი კონფლიქტი უკრაინა-რუსეთს შორის, მიმდინარეობს მცდელობები, რომ აქაც გაიხსნას ახალი ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ. უკრაინაში დღეს მრავლად არიან პერსონები, რომლებმაც თავის დროზე გაძარცვეს საქართველო, თვით საქართველოშიც არიან ძველი ხელისუფლების ისეთი წარმომადგენლები, რომლებსაც შურთ დღეს საქართველოს წარმატებები და უნდათ, ეს ქვეყანა უკან დაიხიონ. 11 წელია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია და ყოველ წელიწადს ხდება საშინელი პროვოკაციები არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ ხალხის წინააღმდეგ. ლგბტ წარმომადგენლებიც მაგათი ერთ-ერთი შტოა, მაგათი კუდი და გაგრძელებაა და ასეთ ვითარებაში პროვოკაციულ განცხადებას აკეთებს უკრაინის პრეზიდენტი.

ზელენსკი პირდაპირ ცდილობს, საქართველო ჩაითრიოს ომში. ამაში ხელს უწყობს სულგაყიდული დავით არახამიაც, რათა საქართველოში დესტაბილიზაცია და ხელისუფლების ცვლილება გამოიწვიონ.

რა უნდოდა საკაშვილს რომ მოძვრებოდა არაუნის კონტეინერით, ცუდად ცხოვრობდა უკრაინაში? „განუბაუებელი“, ასე დაავარქვით ყოფილ პრეზიდენტს. არეულობას აპირებდა საქართველოში და ეს კარგად იცოდნენ მტრულმა ძალებმა უკრაინაშიც, ევროპაშიც და ამერიკაშიც. რა გველოდებოდა და რას გადავრჩით, ხომ წარმოგიდგენიათ. სააკაშვილს და მისნაირებს ჰგონიათ, რომ ისევ შევარდნაძის დროა. ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, დღეს ქვეყანას მართავენ პატრიოტი ადამიანები, გვყავს ძლიერი პოლიცია, რომელსაც ემტერებიან პირდაპირ. ამ არამზადებს სურთ, საქართველო ჩაითრიონ რუსეთთან ომში.

ჩვენ გავიარეთ ეს გზა.

ეს უნამუსოები, კიდევ ხმას როგორ იღებენ, როცა ციხეებში უბედურებებს სჩადიოდნენ, ატერორებდნენ მიზნესებს, მეც მოვყევი მათი რეპრესიების წნეხში. ჩემს მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაც წამგლიჯეს. კრიმინალი კირკიტაძის მოადგილეს გადასცეს ჩემი ორგანიზაცია მთელი ქონებით. დღეს კი დემოკრატიაზე და ადამიანის უფლებებზე ლაპარაკობენ. ახლა ვითომ გადაახალისეს პარტია და ახალი შიზოფრენიკი – ხაბეიშვილი დანიშნეს, რომელიც რეგიონებში დახეტიალობს. მეც დავდივარ რეგიონებში და ვიცი ხალხის განწყობა – **ეზიზღება ხალხს ნაციონალები.** ამდენი ხანია ხან ხელისუფლებაში არიან, ხან – ოპოზიციაში და რა გააკეთეს ხალხისთვის სასიკეთო – პარლამენტში სხედან და ერთი კანონპროექტი წარადგინეს? ერთი სასარგებლო საქმე გააკეთეს? პრემიერ-მინისტრისადმი კითხვები თუ ჰქონდათ, რატომ არ დაელოდნენ პასუხებს. იმიტომ გაიძურწნენ, რომ ბატონი პრემიერი პირდაპირ ეტყოდა სათქმელს. ამ ადამიანებს სურთ ქვეყანაში დესტაბილიზაცია. სხვა ვერაფერი მოახერხეს და ახლა უკრაინა დარჩათ საპროვოკაციოდ.

– უკრაინის მოქალაქე სააკაშვილს, როცა მომენტი მიეცემა, ზელენსკი, ასე ვთქვათ, კბილებით იცავს, ახლახან კი პოლონელი ექიმები იყვნენ ჩამოსული ექსპრეზიდენტის „გამოსაკვლევად“ „ვივამედში“, საიდანაც ერთ-ერთ ექიმს ფეხსაცმელით უნდოდა სააკაშვილის ორგანული ანალიზების გარეთ გატანა. თქვენ რას იტყვით ამაზე?

– პირდაპირ გეტყვით, ეს იყო სამარცხვინოსთან ერთად კრიმინალური ქმედება, ამიტომ ის პოლონელი ექიმი უნდა დაეპატიმრებინათ. ისე კი მიმაჩნია, რომ დიდ პროვოკაციას ავცდით, არავინ იცის ამას რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა. არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ ყველაფერი ხდება, შეიძლებოდა ანალიზები ისე გაეყალბებინათ, რომ საქართველო უდიდეს შარში გახვეულიყო.

– ბატონო ალი, თქვენ ხართ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი „ძველი გვარდიელი“, მოგწონთ დღეს „ქართული ოცნების“ მუშაობა? ცოტა ლოიალურები ხომ არ არიან?

– დიახ, მე ვარ ადამიანი, რომელსაც თავის დროზე თვითონ ბიძინა ივანიშვილმა დაუძახა, რომ ბრძოლაში ჩავრთულიყავი. დღეს ისე მოხდა, რომ ძველი შემადგენლობიდან ბევრი სხვა მხარეს გადავიდა და უმტრო თავის ძველ გუნდს. გასაგებია, რაღაცები არ მოსწონთ, მაგრამ როგორ შეიძლება კაცმა უსუფაშვილი გაამართლო, როცა, 0,001% -იანი პარტიის წარმომადგენელი იყო და პარლამენტში მოხვდა, ასევე გუბაზ სანიკიძე და მათნაირები. მიზეზი ერთია– როგორც სანიკიძემ თქვა: „მილიონები ვერ იშოვეს“ და „ქართულ ოცნებას“ დაუწყეს ქვების სროლა. ვიღაცა მინისტრად არ დანიშნეს და განაწყენებულია, ვიღაცას სხვა თანამდებობა უნდოდა და ვერ მიიღო, სხვამ სხვა სარგებელი ვერ ნახა, ეს ის ხალხია, რომლებიც წლების განმავლობაში შემძვრალი იყვნენ სხვადასხვა მთავრობასთან. თავის დროზე გამსახურდიას უღალატეს, მერე შევარდნაძეს შეუძვრნენ და იმასაც უღალატეს, შევარდნაძის მერე სააკაშვილს შეეკრნენ და ბოლოს „ქართულ ოცნებასთან“ გადამობარგდნენ. არ უნდა გაეღო მათთვის კარი „ქართულ ოცნებას“, მაგრამ კოჰაბიტაციაა და სხვა გზა აღარ იყო.

იმის მიუხედავად, რომ მეც მაქვს პრეტენზიები „ქართული ოცნების“ მიმართ, ვერ ვუღალატებ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემ გვერდით იბრძოდნენ ნაციონალების წინააღმდეგ ქარში, თოვლში, დაჭერის და განადგურების საფრთხის წინაშე. ჩვენ დასაკარგი ერთგული ადამიანები არ გვყავს, მოდის 2024 წელი და ვიცი, ჩემისთანა ადამიანების მხრებზე გადაივლის ყველა წინააღმდეგობა, რადგან ჩემ უკან მინიმუმ 30 000 ამომრჩეველი დგას და მათ ჩემი იმედი აქვთ.

მე, როგორც ძველი გვარდიელი, მოვუწოდებ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას: ფრთხილად იყვნენ, აღარ დაუშვან ისეთი შეცდომები, რაც დაუშვეს და 2012 წლის დიდ ბრძოლაში მონაწილე ადამიანებს პატივი სცენ.

ესაუბრა
ირანდა კალანდაძე

ლადო ბოჭაძე: როცა სააკაშვილი უკრაინაში თმებით ათრიეს, მოქალაქეობა ჩამოართვეს, თვითმფრინავში ჩასვეს და ქვეყნიდან გააძევეს,

მაშინ მესამე პრეზიდენტი არ იყო?

მას შემდეგ, რაც ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოს ელჩი მიხეილ სააკაშვილის უკრაინისთვის გადაცემის მოთხოვნით და ხელისუფლებასთან კონსულტაციებისთვის სამშობლოში გამოაძევა, მოქმედების ახალ სტრატეგიაზე გადავიდა. უკრაინის უმაღლეს რადაში დარეგისტრირდა მიმართვის პროექტი მიხეილ სააკაშვილის შეწყალების ან სამკურნალოდ გადაყვანის შესახებ. პროექტის თანახმად, საკანონმდებლო ორგანო მიმართავს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, საქართველოს პარლამენტს, ასევე, ევროპარლამენტს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

დოკუმენტი მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს, წვლილი შეიტანონ უკრაინის უმაღლესი რადას ადამიანის უფლებათა კომისრის **დმიტრო ლუბინეცის** სააკაშვილთან დაშვებაში. ასევე, სალომე ზურაბიშვილს თხოვნით მიმართავს, შეიწყალოს ექსპრეზიდენტი ან ხელი შეუწყოს მის სამკურნალოდ გადაყვანას სხვა ქვეყანაში. მიმართვას ხელს ათობით დეპუტატი აწერს, მათ შორის მმართველი ფრაქციის ლიდერი დავით არახამია.

ამის პარალელურად, 44 ევროპარლამენტარის წერილის აღრესატი საქართველოში 3 უმაღლესი თანამდებობის პირია. პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს ევროპელი დეპუტატები მოუწოდებენ, ხელი შეუწყონ მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში გადაყვანას. მსჯავრდებული ექსპრეზიდენტის მესამე ქვეყანაში გაგზავნის აუცილებლობას ევროპარლამენტარები სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით ხსნიან.

ევროპელი კოლეგების ნაწილის პოზიციას მმართველი პარტიის თავმჯდომარე კონკრეტულ მიზანს უკავშირებს. **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, პოლარიზაციის გაღრმავება, ქაოსი და მეორე ფრონტის გახსნის სურვილია ის, რასაც ევროპარლამენტარების ერთი ჯგუფი ცდილობს.

„იმედი მაქვს, სალომე ზურაბიშვილი მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით მაინც, არა ვიღაცის ინტერესების კარნახით, არამედ ქვეყნის ინტერესების კარნახით იმოქმედებს“!

ყველას კარგად გვახსოვს: „არა და არასოდეს“ – სწორედ ასე პასუხობდა ზურაბიშვილი მსჯავრდებულის შეწყალებაზე დასმულ კითხვებს. იმოქმედებს თუ არა პრეზიდენტზე ევროპარლამენტარებისა და რადას დეპუტატების მოთხოვნა, ჯერ უცნობია. პროგნოზის გაკეთება „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ უჭირთ.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილის გაყვანა ციხიდან ნებისმიერ ფასად უნდათ და ამაში აქტიურად უკრაინა და პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკიც ჩაერთო. საყვარელიძე არ გამორიცხავს, რომ ეს ყველაფერი კანდიდატის სტატუსსაც უკავშირდებოდეს და სხვა ისეთ თემებსაც, რომლის გამჟღავნებისაც თავად უკრაინას ეშინია. საყვარელიძე არ გამორიცხავს, რომ სააკაშვილი მათ აშანტაჟებდეთ სწორედ იმ ინფორმაციების გამ-

მათ სააკაშვილის ალაპარაკების ეშინიათ და მაქსიმუმს ცდილობენ იმისთვის, რომ ციხიდან გაიყვანონ. თუმცა არსებობს მეორე ვარიანტიც, რომ ეს არის რევოლუციური სცენარისკენ ვითარების წაყვანა. ხელისუფლებას ყველა მხრიდან დარტყმის ქვეშ აყენებენ, რათა მან ამ ზეწოლას ვერ გაუძლოს.

რამაზ საყვარელიძე

ხელით, რომლის გამოც ის საქართველოში დაბრუნდა. ასევე, შესაძლოა, ევროპარლამენტარების ქრთამით მოსყიდვა ხდებოდეს და ეს გასაკვირიც არ იქნება, რადგან ევროპარლამენტი, ბოლო დროს, არაერთ მსგავს სკანდალში გაეხვა.

„ვფიქრობ, უკრაინის ასეთი ორკესტრირებული ჩართვა ამ ვითარებაში, სხვა რამესთან უნდა იყოს დაკავშირებული. ქვეყანა, რომელიც ომში იმყოფება, ძალიან საეჭვოდ გააქტიურდა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების და ციხიდან როგორმე გამოყვანის თვალსაზრისით. მით უმეტეს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა, რომ სააკაშვილს არც არავინ აწამებს და მას სათანადოდაც მკურნალობენ. ამიტომ ჩვენს ხელისუფლებაზე ამ დონის ზეწოლა, გინდა ეს უკრაინიდან და გინდა ევროპარლამენტარი ზოგიერთი წევრისგან, უკვე მევრ ეჭვს აჩენს. დიდი ალბათობით, მათ სააკაშვილის ალაპარაკების ეშინიათ და მაქსიმუმს ცდილობენ იმისთვის, რომ ციხიდან გაიყვანონ. თუმცა არსებობს მეორე ვარიანტიც, რომ ამ ყველაფერმა კანდიდატის სტატუსზე გავლენა მოახდინოს, არ მოგვცენ და ამის შემდეგ ქვეყანაში არეულობა დაიწყოს. ეს არის რევოლუციური სცენარისკენ ვითარების წაყვანა. ხელისუფლებას ყველა მხრიდან დარტყმის ქვეშ აყენებენ, რათა მან ამ ზეწოლას ვერ გაუძლოს.

რაც შეეხება პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს – შეცვლის თუ არა ის გადაწყვეტილებას, ვინმეზე თავის დადება, რომ რაღაცას არ გადაიფიქრებს, ძალიან რთულია, მით უმეტეს პოლიტიკოსზე და ქალბატონ ზურაბიშვილზე, რომელსაც ხასიათის ცვლილება ახასიათებს. თუმცა, რომც შეიწყალოს სააკაშვილი, მისი გათავისუფლება ვერ მოხერხდება, რადგან სხვა სქემებზე სასამართლო დასრულებული ჯერ არ არის. ვნახოთ, გააჩნია პრეზიდენტს თავად როგორ აწყობს და პოლიტიკურად მას როგორ გამოიყენებს. ფაქტია, ეს გადაწყვეტილება, პირველ რიგში, მას დაიზიანებს. თუმცა, შესაძლოა, ეს ისევ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების კუთხით გაამართლოს და თქვას, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ვმოქმედებდიო“, – ამბობს საყვარელიძე.

თბილისის საკრებულოს წევრი **ლადო ბოჭაძე** კი აცხადებს, რომ უკრაინის რადას გადაწყვეტილება და მოთხოვნა სააკაშვილის გადაცემასთან დაკავშირებით სრული აბსურდია, მით უმეტეს სტრასბურგის გადაწყვეტილების შემდეგ. ბოჭაძე ამბობს, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება არის ის ბერკეტი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას ხელში მყარად უჭირავს. თავადაც კარგად იციან სააკაშვილის გარემოცვამ, რომ სტრასბურგის სასამართლოში საჩივარის შეტანა სტრატეგიული შეცდომა იყო, ამიტომ ახლა ყველა ხერხს იყენებენ იმისთვის, რომ სააკაშვილი როგორმე ციხიდან გაიყვანონ.

„როგორც რადას მოთხოვნები, ასევე ზოგიერთი ევროპარლამენტარის განცხადებები, რომ სააკაშვილის რომელიმე ევროკავშირის ქვეყანაში გადაყვანა უნდა მოხდეს, ყველანაირ სამართლებრივ ჩარჩოებს არის აცდენილი. სტრასბურგის სასამართლომ გარკვევით და ნათლად თქვა, რომ სააკაშვილს არავინ არ აწამებს და ასევე იღებს სათანადო მკურნალობას. ზელენსკიმ საქართველოს ელჩი სწორედ მაგიტომ გამოაძევა უკრაინიდან, რომ სააკაშვილის გათავისუფლების გადაწყვეტილება ყოფილიყო მიღებული. ჩვენი ხელისუფლების პასუხიც პრინციპული იყო, რომ ელჩი უკან არ დაბრუნდება და ამაზე არანაირი კონსულტაციები არ გაიმართება. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი დახურულია. თუ ვინმე სააკაშვილს აწამებს, ეს მისი საკუთარი ოჯახი და გარემოცვაა. ის, რომ მან უკვე წონაში მოიმატა, ფაქტია და თუკი გააგრძელებს სრულფასოვან კვებას, ორ კვირაში სრულიად სხვა წონას მივიღებთ. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, დეპატების ნაცვლად პირდაპირ არჩევნებში მონაწილეობაც კი მოითხოვოს. საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება, რომ ყველაფერი ეს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას უკავშირდება. უნდათ, საქართველოს მოსახლეობაში ისეთი განცდა გააჩინონ, რომ სტატუსს სააკაშვილში გაცვლის სანაცვლოდ მოგვცემენ“, – ამბობს ბოჭაძე.

საქართველოს მოსახლეობის განწყობა სრულიად სხვაგვარია და სააკაშვილის ფაქტორი ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის არაფერს ნიშნავს. ბოჭაძე ამბობს, რომ ჩვენი მოსახლეობისთვის საკითხის ასე დაყენება შეურაცხმყოფელია და როგორი მხარდამჭერიც არ უნდა იყოს „ქართული ოცნების“, ამ საკითხში ხელისუფლების მიმართ სოლიდარულია.

„სააკაშვილი უკრაინაში თმებით როცა ათრიეს, მაშინ საქართველოს მესამე პრეზიდენტი არ იყო? როცა მოქალაქეობა ჩამოართვეს, თვითმფრინავში ჩასვეს და ქვეყნიდან გააძევეს, მაშინ პრეზიდენტი არ იყო? მაშინ სააკაშვილი თავად უკრაინასაც ამ დონეზე არ სჭირდებოდა. ახლა მისი როლი რაღაცაში სჭირდებათ. თურმე სააკაშვილს რუსეთის დაკვეთით ვაწამებთ, არა და ამ დროს კიდევ ერთი შვილი შეეძინა, წონაშიც მოიმატა, პოლიტიკაში დაბრუნებაც გადაწყვიტა და ხელისუფლებას დეპატებშიც კი იწვევს. მაშინ ჩნდება კითხვა, რუსეთის დავალებით გამოუშვეს უკრაინელებმა სააკაშვილი საქართველოში? უკრაინის საზღვარი ხომ გადმოლახა და მიზანმიმართულად გადმოუშვეს? გამოდის, რომ ზელენსკიმ პუტინს დაუჯერა, სააკაშვილს მოქალაქეობა დაუბრუნა და საქართველოში შემოაპარეს? სააკაშვილს დავალება ხომ არ ჰქონდა, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, საღამოს საქართველოში რევოლუცია უნდა მოეწყო და ხელისუფლება შეეცვალა, შემდეგ კი, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისთანავე, საქართველოც ომში ჩართულიყო? ამიტომ ამ ფარსს ქართველი ხალხი არ იჯერებს და არც არასდროს დაიჯერებს!“, – ამბობს ბოჭაძე.

ლიკა ბერიკაშვილი

სიმონ ბახტურიძე:

ხუდონჰესი აშენდება მოსახლეობის ინტერესთა გათვალისწინებით!

ახალ პროექტზე მუშაობა უკვე დაწყებულია!

ხუდონჰესის ახალ პროექტზე გამოცდილი შვეიცარიული კომპანია მუშაობს. წინასწარვე ცნობილია, რომ ეს იქნება ძველისგან სრულიად განსხვავებული პროექტი, სადაც მოსახლეობის ინტერესს მაქსიმალურად გაითვალისწინებენ. წესით და რიგით, აუქციონის გამოცხადებას მთავრობა მალე აპირებს.

ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობის საკითხი პრემიერ-მინისტრის წლიურ ანგარიშშიც მოხვდა. **ირაკლი ღარიბაშვილმა** დაადასტურა, რომ ხუდონჰესის პროექტზე შვეიცარიული კომპანია მუშაობს, რომელმაც ჰესი ისე უნდა დააპროექტოს, რომ მიმდებარე გარკვეული ტერიტორია არ დაიტბორროს.

წლიური ანგარიშის წარდგენისას, ღარიბაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ მთავრობა მსხვილი ჰესების პროექტების განვითარებას გეგმავს, რის შემდეგაც 3 ათასი მეგავატი სიმძლავრე შეემატება გენერაციის ობიექტებს.

„ხუდონის პროექტზე მიდის მუშაობა და ერთ-ერთი შვეიცარიული კომპანია ამ პროექტის მოდიფიკაციას აკეთებს. ჩვენი სურვილია, რომ მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი, რაც იყო – დატბორვა – მათ შორის, ეკლესიის და სოფლის, აღარ მოხდეს. ეს თავიდან რომ ავირიდოთ და ამგვარად განვახორციელოთ პროექტი, ბუნებრივია, ადგილზე ხალხის ჩართვა. კიდევ არის რამდენიმე მსხვილი პროექტი და ჯამში, დაახლოებით, 3 ათას მეგავატის სიმძლავრის ჰესის აშენება შეგვეძლება მომდევნო 2-3 წელიწადში, რაც მინიმუმ 4 მილიარდი ლარის მოცულობის ინვესტიციაა. ეს, რა თქმა უნდა, დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

ხუდონჰესის მშენებლობას სწორედ დატბორვის გარეშე განიხილავდა ენერგეტიკოსთა წრე, რომლის წარმომადგენლებს თავის დროზე ჰესის მშენებლობის სქემაც ჰქონდათ შემუშავებული. ასეთი ინიციატივის ერთ-ერთი ავტორია საინიციატივო ჯგუფის წევრი, ენერგეტიკოსი **სიმონ ბახტურიძე**. იგი მთავრობის გადაწყვეტილებით ამჯერად კმაყოფილია.

„ყველაზე სწორი გზა გამოინახა და ხუდონჰესი აშენდება უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვით, სადაც გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. ამაზე ჩვენ წლების წინ ვსაუბრობდით, რადგან მიგვაჩნდა, რომ დატბორვის გარეშე ჰესის მშენებლობა შესაძლებელი იყო, რასაც ვადასტურებდით კიდეც. ახლა მნიშვნელოვანია, რომ ელექტროსადგურის ლოკაცია არ იცვლება, რჩება როგორც იყო, გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე მცირდება, ხოლო წყალსაცავი, რომელიც ხელისშემშლელი ფაქტორი იყო, ახალ სქემაში გატანილია ზემოთ. იგი იქნება ზომით მცირე, უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ჰესთან დაკავშირებულ პროექტზე ჩვენ რამდენიმე წელი ვიმუშავეთ და საფუძვლიანი კვლევა წარმოვადგინეთ. კარგია, რომ „ოქროს შუალედი“ მოიძებნა. სწორი გზა გამოინახა ისე, რომ სოფელი არ უნდა დაიტბორროს. დაადასტურა დრომ, რომ ჩვენს მიერ შეთავაზებული სქემა იყო მნიშვნელოვანი, რომელიც ქვეყანას სარგებელს მოუტანს და არავინ დაზარალდება. მზად ვართ მთავრობას ამოვუდგეთ მხარში და საქმე ბოლომდე მივიყვანოთ“, – აღნიშნა ბახტურიძემ და დასძინა, რომ მნიშვნელოვანია ასევე სოციალური გარანტიები, რაც ჰესის მშენებლობის შედეგად უნდა მიიღოს მოსახლეობამ, რაც მათ კეთილდღეობაზე დადებითად იმოქმედებს.

თავდაპირველი პროექტით ხუდონჰესის პროექტი მესტიის მუნიციპალიტეტში ენგურის ზედა ნაწილში ჰესის მშენებლობას ითვალისწინებდა. პროექტი მოიცავდა თაღოვანი კაშხლის, მიწისქვეშა ელექტროსადგურის და სხვა ნაგებობების მშენებლობას. მისი დადგმული სიმძლავრე 702 მგვტ, ხოლო ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 1,5 მლრდ კვტ/სთ უნდა ყოფილიყო. ინვესტიციად დაახლოებით 1 მლრდ აშშ დოლარი სახელდებოდა. პროექტი ინდურ კომპანია „ტრანსელექტრიკს“ უნდა განეხორციელებინა, თუმცა მისი წამოწყებაც ვერ მოხერხდა, მოსახლეობის მძაფრი პროტესტის გამო. შესაბამისად, მთავრობას ჯერ პროექტის შეჩერება, ხოლო შემდეგ მისი გამოსყიდვა მოუხდა.

ეკონომიკის მინისტრის **ლევან დავითაშვილის** ინფორმაციით, ხუდონჰესის პროექტის ინვესტორისგან გამოსყიდვას 13.5 მლნ დოლარი დასჭირდა. აუქციონის გამოცხადებას მთავრობა მალე გეგმავს.

„ხუდონჰესთან დაკავშირებით პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რაც მივიღეთ იყო ის, რომ სახელმწიფოს შეძლებოდა პროექტის დაბრუნება, რათა პროექტის განხორციელების ეტაპზე ბარიერი აღარ ყოფილიყო და უმოკლეს პერიოდში ჩვენ პროექტის განხორციელების დაწყება შეგვძლებოდა. 13.5 მლნ აშშ დოლარი იყო თანხის მოცულობა, რაზეც ინვესტორ კომპანიასთან გარიგება შედგა“, – განაცხადა დავითაშვილმა. ახალი პროექტით გიგანტური ჰესის სიმძლავრე ცოტათი შემცირდება, თუმცა სხვა ყველა საკითხი (ეკოლოგია, მოსახლეობის ინტერესები) გარანტირებული იქნება.

ბექა დანელია

კიდევ ერთხელ გილოცავთ, „გურჯისტანელებო“!

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, „გურჯისტანის“ 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, თეა ახვლედიანმა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა.

სახელმწიფო მინისტრმა აზერბაიჯანულენოვან გამოცემას საიუბილეო თარიღი მიულოცა და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში. მან „გურჯისტანის“ საუკუნოვანი ისტორიისა და იმ მნიშვნელოვანი მისიის შესახებ ისაუბრა, რომელსაც გაზეთი სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის მიზნების მისაღწევად ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ასრულებს.

თეა ახვლედიანმა ყურადღება გაამახვილა ჩვენი ქვეყნის ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვანი საზოგადოების წევრების ტოლერანტობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ იმ უნიკალურ ღირებულებებზე, რომლებსაც ემყარება და წარმოაჩენს „გურჯისტანი“.

ღონისძიებაზე სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით მომზადებული გაზეთ „გურჯისტანის“ 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ვიდეორგოლის პრეზენტაცია შედგა. დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით ასევე მიმართეს გაზეთ ,,გურჯისტანის“ მთავარმა რედაქტორმა, ხალადინ ელჩუევმა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სარჯველაძემ, გაზეთ „ვრასტანის“ მთავარმა რედაქტორმა ვან ბაიბურთმა და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის თავმჯდომარემ“, ჰუსეინ იუსუბოვმა.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა რედაქციის თანამშრომლებს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესსა და გაზეთ „გურჯისტანის“ საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის სიგელები, საიუბილეო და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, ასევე სტუმრები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებიდან, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წევრები, ახალგაზრდები, გაზეთის ერთგული მკითხველები სხვადასხვა რეგიონის აზერბაიჯანული თემიდან.

„გაზეთ „გურჯისტანის“ საიუბილეო თარიღის აღნიშვნა მისი საუკუნოვანი ღვაწლის დაფასებას ემსახურება. უკვე 100 წელზე მეტია, გაზეთი საქართველოს აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას მათ მშობლიურ ენაზე აწვდის ინფორმაციას საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი სიახლეების თაობაზე. განსაკუთრებით რეგიონებში, ის ასრულებს ერთგვარი გზამკვლევის როლს სხვადასხვა სფეროს რეფორმებთან, სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბოლო ასწლიანი ისტორიის სირთულეები, რა თქმა უნდა, გაზეთის არსზეც აისახებოდა, მან გაუძლო დროს, შეძლო დაემსახურებინა ნდობა და შეენარჩუნებინა ერთგული მკითხველი. „გურჯისტანის“ დღევანდელი ხედვა თანხვედრაშია სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის პრიორიტეტებთან. სწორედ ამიტომ სახელმწიფო მხარს უჭერს მის საქმიანობას და მის შემდგომ განვითარებას ჩვენი მრავალეთნიკური საზოგადოების საკეთილდღეოდ. მსურს, კიდევ ერთხელ მივულოცო გაზეთ „გურჯისტანის“ ერთგულ მკითხველს, მის რედაქციას და ყველა გულშემატკივარს ეს მნიშვნელოვანი იუბილე და ვუსურვო მათ შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები,“ – განაცხადა თეა ახვლედიანმა.

ვახტანგ მაისაია:

ყვარყვარიზმი, ანუ ირაკლი კობახიძე საკუთარ თავს ეწინააღმდეგება!

(მესამე გვერდიდან)

პოლიტოლოგის განმარტებით, როგორც სახედარს დაუკიდებენ სტაფილოს, ასევეა ნატოში გაწევრიანების დაპირება, ამასობაში ეს რუსეთის გამაღიზიანებელი ფაქტორია. ნატო ყოველთვის მოქმედებს პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე. მაგალითად, შვედეთი და ფინეთი ყოველგვარი მაპის გარეშე მიიღეს ნატოში, ეტყობა, ეს ქვეყნები რუსეთის გავლენის სფეროში არ შედის, მაგრამ საქართველოზე ამას ვერ ვიტყვით. საქართველოსთვის ნებისმიერი მკვეთრი მოძრაობა დიდი საფრთხის შემცველია.

* * *

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** მიიჩნევს, რომ კობახიძის ეს სიტყვები საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის პირდაპირი მცდელობაა. ეს ნიშნავს, რომ საქართველომ თავი უნდა დაანებოს ნატოს და აირჩიოს სხვა საგარეო პოლიტიკური კურსი. ეს მაშინ, კობახიძემ კონსტიტუცია როცა დაწერა, საკუთარი ხელით მონიშნა 78-ე მუხლში, რომ საქართველო უნდა გახდეს ნატოს და ევროკავშირის წევრი, ანუ კობახიძე ახლა საკუთარ თავს ეწინააღმდეგება და ეს უკვე ყვარყვარიზმია.

შესაბამისად, ნატოს ვილნიუსის სამიტმაც ადეკვატური პასუხი გასცა ქართულ მხარეს და კომუნიკეში ნათლად ჩაწერა, დროა, საქართველო ჩამოყალიბდეს, რომელ საგარეო პოლიტიკურ კურსს ირჩევსო.

„უკრაინასთან მიმართებით ნატომ კონკრეტული ნაბიჯი გადადგა, უკრაინას დე ფაქტოდ მიანიჭეს მაპის სტატუსი, მიუხედავად იმისა, დაადასტურეს, რომ მაპის გარეშე გახდებაო უკრაინა ნატოს წევრი სახელმწიფო, ანუ უკრაინას უკვე მიანიჭეს შვედეთისა და ფინეთის სტატუსი, 500 მილიონი დოლარის პაკეტი გამოუყო ნატომ უკრაინას სამხედრო თავსებადობის მისაღწევად. გაისად ნატოს სამიტზე გამორიცხული არაა, უკრაინა მიიწვიონ ნატოში და, ომის მიუხედავად, უკრაინა გახდეს ნატოს წევრი სახელმწიფო! უბრალოდ, უკრაინამ კონკრეტული საშინაო დავალება უნდა შეასრულოს – ბრძოლა კორუფციასთან, საზოგადოებრივი და სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემების რეფორმა, სამხედრო თავსებადობის უმაღლეს დონეზე აყვანა“, – დასძინა ვახტანგ მაისაიამ.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ანალიტიკოსმა განმარტა, რომ ნატოს კომუნიკეს მე-80 პარაგრაფში პირდაპირ წერია, რომ ნატოს ხელმძღვანელობა და ნატოს წევრი სახელმწიფოები მხარს უჭერენ საქართველოს უფლებას, ყოველგვარი გარე ძალების ჩარევის გარეშე თვითონვე გადაწყვიტოს საკუთარი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია.

მანანა ნოზაძე

გელათი არ ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს, ის მსოფლიო მემკვიდრეობაა...

გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციისთვის დაწყებული ინსპექტირების სამუშაოები დასრულებულია. მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით ქართველმა და უცხოელმა სპეციალისტებმა სამეცნიერო დისკუსია გამართეს, შედეგები კი პრესკონფერენციაზე შეაჯამეს.

სამუშაოების ფარგლებში საქართველოში ჩამოსულია საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს მისია, რომელიც იტალიელ, გერმანელ, ბრიტანელ და ამერიკელ სპეციალისტებს აერთიანებს.

როგორც გელათის რეაბილიტაციის საკითხებში ეროვნული სამეცნიერო საბჭოს დირექტორმა, **დავით ლორთქიფანიძემ** განაცხადა, მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები მონაწილეობენ რათა ძალიან დეტალურად იყოს შესწავლილი ყველა პრობლემა.

„ბუნებრივია, გელათში არის პრობლემები როგორც გადახურვის, ასევე არის კედლის მხატვრობის, მოზაიკის პრობლემა, მაგრამ გვაქვს ძალიან დიდი იმედი და ყველა დარწმუნებული ვართ, რომ ეს ყველაფერი გამოსწორდება. ყველა ერთხმად ამბობს, რომ გელათი არ ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს, გელათი არის მსოფლიო მემკვიდრეობა. ჩვენთვის გელათი არის ყველაზე მთავარი, რაც გვაქვს, ეს არის ჩვენი მთავარი იდენტობა“, – აღნიშნა ლორთქიფანიძემ.

ამასთან, კედლის მხატვრობის კონსერვატორის, **ლიზა შეკედეს** თქმით, ტაძრის მდგომარეობა კრიტიკულია. მისივე განცხადებით, ძირითადი მიზეზი არის ნესტი, რომელიც წლების განმავლობაში იჩენს თავს.

„ეს არის ერთგვარი ენდემური პრობლემა ნაგებობებისთვის, რომელთაც მრგვალი სახურავი გააჩნიათ ისეთ ადგილებში, სადაც კლიმატი ხანდახან იწვევს ძლიერ წვიმებსა და მსგავს პრობლემებს. საკითხი მდგომარეობს, როგორ დავიცვათ სახურავების სისტემა. ეს ძალიან მასშტაბური პროექტია.იგი მოიცავს არქიტექტორების ჩართულობასაც, რომლებიც ცდილობენ დროებითი გამოსავლის მოძიებას, რათა დაიცვან კედლის მხატვრობები და შეიმუშავონ გადახურვის სისტემა ხანგრძლივი პერსპექტივისთვის“, – აღნიშნა ლიზა შეკედეს.

როგორც დამოუკიდებელმა ექსპერტმა, კედლის მხატვრობის კონსერვატორმა, **სტივენ რიკერბიმ** განაცხადა, გელათში კედლის მხატვრობასთან დაკავშირებული პრობლემები ძალიან სერიოზულია და საჭიროა ფრთხილად მოქმედება.

„საქმე გვაქვს მემკვიდრეობით მდგომარეობასთან. მდგომარეობა ისეთია, რომ უკიდურესად რთული ხდება მათი უსაფრთხო დამუშავება. ზუსტად იმის გამო, რომ ისინი ძალიან ძვირფასია, ჩვენ უნდა ვიყოთ აბსოლუტურად დარწმუნებული, როგორ მივუდგეთ მათ. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ უკიდირესად ფრთხილად, ნელა და ზედმიწევნით ფაქიზად, რათა თავიდან ავიცილოთ წარსულის შეცდომები“, – აღნიშნა სტივენ რიკერბიმ.

საუნივერსიტეტო წიგნის ფესტივალი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა პაგა სამუშია, თსუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან ნოდარ პაპუკაშვილთან ერთად საუნივერსიტეტო წიგნის ფესტივალი გახსნა.

ფესტივალი თსუ მიბლიოთეკის ინიციატივით და თბილისის 15 უნივერსიტეტის მონაწილეობით პირველად გაიმართა.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო თბილისის მასშტაბით არსებული სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების გამომცემლობებისა და მათი აკადემიური პერსონალის ავტორობით ბოლო წლებში გამოცემული სამეცნიერო წიგნები. ღონისძიებაზე თსუ გამომცემლობის მიერ დასტამბული წიგნების გამოფენა-გაყიდვაც მოეწყო.

„მიხარია, რომ უნივერსიტეტის თაოსნობით და ჩვენი პარტნიორი უნივერსიტეტების მხარდაჭერით, საფუძველს ვუყრით სრულიად ახალ ღონისძიებას - ეს არის საუნივერსიტეტო წიგნების ფესტივალი, რომელიც ძირითადად სამეცნიერო ლიტერატურას მოიცავს. გვინდოდა, სამეცნიერო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო და ერთიან სივრცეში ენახა ის შედეგები, რაც ქართულ მეცნიერებაშია მიღწეული“, – განაცხადა თსუ რექტორმა.

მისი თქმით, უახლოეს პერიოდში, თსუ დაიწყებს სრულიად ახალი სერიების გამოცემას, რომლის მიზანი იქნება, იმ დარგობრივი მიმართულების გაძლიერება, რომელიც თსუ-შია. ასევე, აღნიშნა, რომ მომავალი სასწავლო წელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცხადდება სახელმძღვანელოების წლად. პროფესორებს მიეცემათ საშუალება, რომ შექმნან სახელმძღვანელოები იმ საგნებში, რომლებსაც ასწავლიან.

„წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა არის ძალიან მნიშვნელოვანი, რამდენადაც მომავალი თაობა ორიენტირებული უნდა იყოს სწორედ წიგნიერებაზე. ფესტივალის სახით, ბეჭდვითი სიტყვის ასეთი პოპულარიზაცია ხელს უწყობს მომავალი თაობის განვითარებას. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ მომავალი თაობა მაქსიმალურად მიჯაჭვული იყოს წიგნზე“, – განაცხადა თსუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ პაპუკაშვილმა.

თსუ მიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის თქმით, საუნივერსიტეტო წიგნის ფესტივალი პირველად იმართება. „აქ წარმოდგენილია ბოლო 3 წლის განმავლობაში შექმნილი საუნივერსიტეტო წიგნები და ერთი თვალის გადავლებითაც მივხვდებით, რა ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობა მიმდინარეობს ჩვენს უნივერსიტეტებში“,- აღნიშნა ზურაბ გაიპარაშვილმა.

საუნივერსიტეტო წიგნის ფესტივალი ეძღვნება პირველი ქართული სამეცნიერო ნაბეჭდი წიგნის – მარიო მაჯიოს **„ქართული ენის გრამატიკის“** – გამოცემის 380-ე და თბილისში ვახტანგ მეექვსის მიერ სტამბის დაარსების 315-ე წლისთავს.

„ქართული ენის გრამატიკა“ პირველად 1643 წელს დაიბეჭდა რომში მცირე ტირაჟით. ამ გამოცემის მხოლოდ ორი ეგზემპლარია შემორჩენილი, რომელიც დაცულია პეტერბურგის სალტიკოვ-შედრინისა და ვატიკანის მიბლიოთეკებში. ქართული საუნივერსიტეტო წიგნი სათავეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იღებს. უნივერსიტეტის დაარსებიდანვე იწყება ზრუნვა სამეცნიერო პროდუქციის შექმნასა და გამოცემაზე. უკვე 1919 წელს გამოიცა პირველი სახელმძღვანელო წიგნი – ზაქარია ყანჩაველის „გვიმრანაირ და ყვავილოვან მცენარეთა სარკვევი“. იმ დროიდან მოყოლებული ქართული საუნივერსიტეტო წიგნი ქართული სამეცნიერო საუნჯის უმდიდრესი ნაწილია.

დამოუკიდებლობისთვის დღესაც ვიბრძვით ჩვენი კულტურით, სიმღერით, ცეკვით!

თეა წულუკიანი: თუ წელს ლოჯისტიკურად და შინაარსობრივად ყველაფერმა კარგად ჩაიარა, შევძლებთ, რომ მომავალი წლიდან ლევილის მამულში ფესტივალი ტრადიციად ვაქციოთ

მას შემდეგ, რაც 1920-იან წლებში ლევილის მამული შეიძინეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა, ამ პერიოდიდან პირველად ლევილის მამული უმასპინძლებს ამ მასშტაბის კულტურულ ღონისძიებათა ციკლს, – ამის შესახებ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა.

„ჩვენთვის ეს არის გარკვეული სახის ექსპერიმენტი, რადგან თუ წელს ვიქნებით წარმატებულები, ვნახავთ, რომ ლოჯისტიკურად და შინაარსობრივად ყველაფერმა კარგად ჩაიარა, შევძლებთ, რომ მომავალი წლიდან ეს ფესტივალი ტრადიციად ვაქციოთ. იგულისხმება, რომ წელს 29 ივლისიდან მომდევნო ოთხი, ერთმანეთის მოყოლებით შაბათ-კვირის განმავლობაში, პირველ რიგში, ჩვენი ემიგრაციისთვის, რომელიც ევროპაში იმყოფება, განსაკუთრებით კი მათი არასრულწლოვანი შვილებისთვის თოჯინების თეატრის არაერთი სპექტაკლის ჩვენება გაიმართება, ასევე ქართული ფოლკლორის, როგორც ქართული მრავალხმიანობის, ასევე ცეკვის ჩვენება. ეს არის გელა ფოცხიშვლის ანსამბლი და „ერისიონი“, რომელიც დახურავს ლევილის მამულში ამ ფესტივალს. დიდებისთვის არიან მიწვეულები დრამატული თეატრებიც: ნაჩვენები იქნება დმანისის თეატრის დღეს კიდევ აქტუალური სპექტაკლი „ხალდე“ და არა მხოლოდ. ასევე იქნება ქუთაისის კამერული გუნდი, ქუთაისის ქორეოგრაფიული ანსამბლი, ამბროლაურის ანსამბლი, ქალთა ანსამბლები და „ბასიანი“. ეს არის პირველი წამოწყება, რომ ლევილში ჩვენს გარდასულ წინაპრებს, მათ სულებს დავანახოთ, რომ ჩვენ ისევ ცოცხლები ვართ და დამოუკიდებლები ვართ და ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის დღესაც ვიბრძვით, მათ შორის ჩვენი კულტურით, ცეკვითა და სიმღერით“...

ნიკო ნიკოლაძის პირადი ნივთები ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიდებს ბინას

ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ნიკოლაძეების არქივს შეემატა უძვირფასესი საარქივო მასალა: პირადი ნივთები, წერილები, ფოტოალბომები, ფოტოფირფიტები, ნახატები (ალექსანდრე პერშაკოვის მიერ შესრულებული ნიკო ნიკოლაძის მეუღლის, ოლგა გურამიშვილის პორტრეტი) და ა. შ.

„თბილისში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე მდებარე ნიკო ნიკოლაძის ბინა, რომელსაც პოლიევქტოვა-საღირაშვილების ოჯახი ფლობდა, ახლახან ახალ მფლობელს გადაეცა. ბინაში წლების მანძილზე შემონახული ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის წევრების არქივებისა და პირადი ნივთების ნაწილი კი ამ ოჯახმა ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა. ეროვნული ბიბლიოთეკა წლებია აგროვებს ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის წევრების არქივებს. ჩვენს ფონდში, ნიკო ნიკოლაძის პირადი დოკუმენტების გარდა, ინახება დიდი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის შვილების, რუსუდან, გიორგი და თამარ ნიკოლაძეების, ასევე მისი დისშვილების ბესარიონ ჭიჭინაძის (ზაჰესისა და რიონჰესის მშენებლობის უფროსი, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს) და ირაკლი (კაკი) წერეთლის (ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი) საარქივო დოკუმენტებიც. ეროვნული ბიბლიოთეკა ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის წევრების ცხოვრებითა და მოღვაწეობით, ასევე მათი თანამედროვე ეპოქის მოვლენებით დაინტერესებულ მკვლევრებს ნიკოლაძეების ყველაზე სრულყოფილ ფონდს სთავაზობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.



რუსუდან ძოგულია.

ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲮᲝᲪᲕᲘᲡ 125 ᲬᲔᲚᲘ!

სანამ ამ ამბავს მოგიყვებოდით, ცნობილი ინგლისელი მწერლის საიმონ-სებაგ-ანტიფორეს ბესტსელერი გადავიკითხე რომანოვების დინასტიის 305-წლიან, 1613-დან 1918 წლამდე, ისტორიაზე. წიგნში შემაძრწუნებელ დეტალებშია აღწერილი რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის და მისი ოჯახის ამოულეტის ამბავი, რომელიც, არა მხოლოდ რუსეთის, არამედ, ზოგადად, კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ უშავეს ლაქად შეიძლება ჩაითვალოს.

რომანოვების დინასტიას მნიშვნელოვანი დამსახურება აქვს ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში. მათი მეფობის ხანაში, პატარა და უმნიშვნელო რუსეთი ვეებერთელა იმპერიად გადაიქცა, რომლის ბოლო მონარქს, ნიკოლოზ მეორეს, მძიმე დროს მოუწია ქვეყნის მართვა. შეიძლება ითქვას, რუსეთი დუღდა მაშინ. იქაურობა სოციალ-დემოკრატიისა და სოციალიზმის უახლესმა იდეებმა წალეკა. მაშინდელმა ორმა ომმა კიდევ უფრო დაამძიმა რუსეთის, როგორც საერთაშორისო მოთამაშის მდგომარეობა. ეს იყო რუსეთ-იაპონიის ისტორიული ჯახი და ყველასთვის გამანადგურებელი პირველი მსოფლიო ომი. ნიკოლოზი ისე უცნაურად მიუძღოდა თავის დაქანცულ, ნირწამხდარ და გაღატაკებულ იმპერიას, რომ, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა მას აკრიტიკებდა ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. თავად-აზნაურობა სისუსტისთვის საყვედურობდა, მუშათა კლასი და გლეხობა კი, სისასტიკისთვის.

1917 წელს, თებერვლის მცირე მასშტაბიანი, მაგრამ ეფექტური რევოლუციის შედეგად, რუსეთის დროებითმა მთავრობამ ნიკოლოზ-მეორე ტახტიდან ჩამოაგდო, რამაც დასაბამი მისცა მეფის ოჯახის საშინელ ტრაგედიას. მთელი ოჯახი დაატყვევეს, თუმცა, მენშევიკები მაინც პატივით ექცეოდნენ მათ: ჯერ ცარსკოე-სელოს სასახლეში, მოგვიანებით კი, პეტროგრადში, ასე ერქვა მაშინ პეტერბურგს, ჰყავდათ შინაურ პატიმრობაში. ცოტა ხანში, რუსეთში სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, და სამეფო ოჯახი ციმბირის ქალაქ ტობოლსკში გადაასახლეს.

ამასობაში, რუსეთს ბოლშევიკური სოციალისტური რევოლუციაც წამოეწია, და რომანოვების ოჯახს საფრთხე დაემუქრა. ბოლშევიკებმა მათი სასტიკი დასჯა მოითხოვეს. ტობოლსკის პატიმრებს პირობები გაუმკაცრეს. თან, მერყეობდა ახალი ხელისუფლება: არ იცოდნენ რა ჯობდა, მეფის ოჯახის საჯარო გასამართლება და ისე დასჯა, თუ მთავრობის რომელიმე მორიგი გრძანებულების საფუძველზე, პირდაპირი ფიზიკური განადგურება. ტროცკი გასამართლების მომხრე იყო. ლენინი თავს იკავებდა. მალე, სამოქალაქო ომი დაიწყო და ბოლშევიკები შეშინდნენ, ვაითუ, თეთრგვარდიელებმა მეფის ოჯახნასტერში გამართულა, ერთ რუს ბერს დინასტია დაუწყევლია. სიმბოლურია, რომ მეფის ოჯახის ბოლო თავშესაფარიც იპატიევის სახელთანაა ასოცირებული.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მეფის ოჯახი 1918 წლის 17 ივლისს დედა-წულიანად ამოხოცეს. ჯალათთა უფროსი, ვინმე იუროვსკი იხსნებს, რომ იმ ღამეს, სასწრაფო დეპეშა მოვიდა ცენტრიდან რომანოვების სიკვდილით დასჯის შესახებ. სახლის ბინადრებს ეძინათ. ყველა გავაღვიძეთო, წერს იუროვსკი, და ვუთხარით, სხვაგან გადაგვყავხართ შექმნილი მდგომარეობის გამო. სარდაფის ერთ დიდ ოთახში ჩაიყვანეს ყველა: ნიკოლოზ-მეორე, მისი მეუღლე ალექსანდრა, მათი შვილები, ალექსეი, ანასტასია, მარია, ოლგა, ტატიანა, ექიმი ბოტკინი და სამი მსახური. მამას ხელში თავის გათავისუფლება შესძლონო.

ბოლოს, ოჯახის ეკეტერინბურგში გადაყვანა გადაწყდა, ანუ უფრო ღრმად ქვეყნის შიგნით, სადაც ბოლშევიკების სამხედრო ძალები იყო გამაგრებული.

1918 წლის 6 აპრილს, მეფის ოჯახი რუსი ინჟინრის, იპატიევის სახლში დაამინავეს თანმხლებ პირებთან ერთად.

ერთი ლეგენდა დადიოდა მაშინ რუსეთში, რომ რომანოვები ხელისუფლების სათავეში სისხლისღვრის შედეგად მოვიდნენ და, პირველი მეფის კორონაციის დროს, რომელიც წმინდა სამების იპატიევის მონასტერში ეგზარქოსებმა ჩაატარეს, ერთ-ერთ ბერს ასეთი ბოლოსიტყვაობა ეთქვა: „ეს ოჯახი ბოლოამდე ამოხოცილ-ამოწყვეტილ-ამოფხეკილ-ამოგლეჯილ-ამოგლეკილ-ამოგლეკილ-ამოგლეკ

პროსტიტუციის ისტორია



სექსოლოგია, ანუ ფართო გაგებით, სქესთა შორის (და ახლა უკვე სქესთა შიგნით!) ურთიერთობები, მათი ნაირფერობა და ამასთან დაკავშირებული ასეულობით ცხოვრებისეული თუ ყოველდღიური ყოფის ნიუანსი, თანამედროვე საზოგადოების, დიდწილად დასავლური კულტუროლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება გახლავთ. ამასთან, მოვლენათა კალეიდოსკოპური სისწრაფით ცვლაშიც კი სავსებით გამოკვეთილად შეიმჩნევა ის შეუსაბამობები, რომლებიც საზოგადოების ყოველდღიურ ყოფაში იჩენს თავს, როცა სქესთა შორის ათასწლეულების განმავლობაში ბიოლოგიურად, სოციალურად თუ კულტუროლოგიურად დალაგებული ურთიერთობები და მთელი სოციალური ინსტიტუტებიც კი (მაგალითად, ოჯახი) ლამის ჩამოშლის პირას არიან მისულნი!

ამ და კიდევ ზოგიერთი სხვა მოსაზრებით, ჩვენი აზრით, ფართო საზოგადოებისთვის ნამდვილად საინტერესო იქნება მამაკაცსა და ქალს შორის, კიდევ, ზოგადად, ცოცხალ ბუნებაში არსებული სქესობრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ისტორიისთვის თვალის გადავლება. ჩანაფიქრის შესრულების საფუძველს კი ჩვენ შემთხვევაში სანკტ-პეტერბურგში 1913 წელს გამოცემული „პროსტიტუციის ისტორია“ წარმოადგენს, რომლის ავტორი ცნობილი გერმანელი მედიკოსი, მედიცინის დოქტორი ივან ბლოხი გახლავთ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „სქესობრივი ცხოვრების“ (ანუ სექსოლოგიის) ვრცელი მეცნიერების განსაზღვრა სწორედ მისი შემოღებულია, რომელიც იმ ხანის ავტორიტეტულმა მეცნიერებმა სწრაფად აღიარეს, როგორც უპირობოდ მედიცინის ჩარჩოებს გაცილებული ცალკე მდგომი მეცნიერების სწორი განმარტება.

„ამიერიდან ჩვენ ვსაჭიროებთ სექსოლოგიის ზუსტ განმარტებას, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, ასევე მასთან დაკავშირებული ХერაС გადაუჭრელი და ზედმიწევნით რთული საკითხებისა. სქესობრივი ინსტინქტის ორმაგი – ბიოლოგიური და კულტურული – ბუნება, სავსებით გასაგებს ხდის: ა) სქესობრივი ცხოვრების კვლევის მთელ სირთულეს და ბ) ასევე იმ შაქტს, რომ „სქესობრივი საკითხის“ გარკვევას თავისი ცალმხრივი თვალთახედვით ახსნას ლამობდნენ არა მხოლოდ ექიმები და ბუნებისმეტყველნი, არამედ თეოსოფებიც, ფილოსოფოსებიც, იურისტებიც და კულტურის მკვლევარნიც.



...მეცნიერება სქესობრივი ცხოვრების შესახებ არ გახლავთ არც ფსიქიატრიის, არც ნევროლოგიის დაქვემდებარებული ნაწილი... „ჩვენი დროის სქესობრივი ცხოვრების“ შესავალში მე უკვე გამოვთქვი აზრი იმის თაობაზე, რომ სქესობრივი ცხოვრებისადმი წმინდა წყლის სამედიცინო (აღარაფერს ვამბობ, ფსიქიატრიულზე!) თვალთახედვით მიდგომა, აშკარად არასაკმარისია ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროსთან მისი მრავალმხრივი კავშირების გასარკვევად... ამდენად, სწორედაც რომ ერთიანად აღებული ეს კავშირი წარმოადგენს „სქესობრივი ცხოვრების შესახებ მეცნიერების“ შინაარსს. ამ უკანასკნელის ამოცანას წარმოადგენს სქესებს შორის ურთიერთობის როგორც ფიზიოლოგიური, სოციალური და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების, ასევე პირველყოფილი და კულტურული ადამიანის შესწავლის გზით, ყველა ერსა და ყველა დროში ადამიანის ელემენტარული სქესობრივი იდეების ძიებაა“, – წერს წიგნის შესავალში დოქტორი ბლოხი.

იგი ასევე სიამოვნებით აღნიშნავს იმ გარემოებასაც, რომ სექსოლოგიის ანთროპოლოგიურ დასაბუთებაზე მუშაობისას, აღმოაჩინა, რომ სექსუალური ცხოვრების ანალოგიური კონცეფცია ისეთ გამოჩენილ მეცნიერსაც ჰქონია, როგორიცაა ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი.

ჩვენი მხრივ, აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ დოქტორ ივან ბლოხის კვლევათა ძირითად იდეებსა და პრინციპებზე აგებული უნდა ყოფილიყო „სექოალოგიის სახელმძღვანელო მონოგრაფიული თხრობით“ 12 ტომად, რომლის საბოლოო მიზანი იმ დროისთვის მომავალი სქესობრივი რეფორმის თეორიული დასაბუთება უნდა ყოფილიყო, რომლის არსს, თავის მხრივ, სქესობრივ ცხოვრებაზე ბუნებრივი, ბიოლოგიური შეხედულების ჩამოყალიბება და მისთვის დამახასიათებელი კულტურული (ე. ი. კულტუროლოგიური – Ო. ტ.) ზეგავლენა შეადგენდა. ამ დიდი მიზნის აღსრულება დოქტორმა ბლოხმა, სამწუხაროდ ვერ შეძლო.

რაც შეეხება თავად კვლევის საგანს, ავტორის თქმით, უშუალოდ „პროსტიტუციასთან დამანგრეველი და წარმატებული ბრძოლისათვის, საჭიროა მისი ჭეშმარიტი არსის გაცნობა“, რისთვისაც აუცილებელია მისი განხილვა არა როგორც რაღაც განცალკევებული მოვლენის, არამედ მისი შინაგანი არსის დადგენა. წინამდებარე და შემდგომ პუბლიკაციებში განხილული იქნება თანამედროვე პროსტიტუციის წარმოშობის ზოგიერთი საგულისხმო საკითხი.

ოთარ ტურაბელიძე

თანამედროვე პროსტიტუციის წარმოშობა

ლათინური სიტყვა „პროსტიტუცია“ (prostitutis) – „შერცხვენას“, „წაბილწვას“ ნიშნავს, რომელსაც ე. წ. „უძველესი პროფესიის“ აღსანიშნავად იყენებენ, რომელიც გარკვეული პირების (ძირითადად, ქალების) მიერ გასამრჯელოს მისაღებად საკუთარი სხეულით ვაჭრობაში მდგომარეობს.

ეს სოციალური მოვლენა ძველთაგანვეა ცნობილი და ყველა საზოგადეობრივი ფორმაციისთვისაა დამახასიათებელი. სხვადასხვა კულტურაში არსებობდა და ახლაც არსებობს განსხვავებული სახეობის პროსტიტუცია, მათ შორის ქუჩის, საროსკიპოს, ტაძრის, საერო, სამასპინძლო და სხვა. ცალკეა აღსანიშნავი, რომ დღემდე არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულება პროსტიტუციის წარმოშობისა და მისი განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობის შესახებ.

თვალის ერთი გადავლებით ისე ჩანს, რომ თავად ტერმინი „პროსტიტუცია“ მაინცდამაინც დიდ განმარტებას არ საჭიროებს, მაგრამ საკითხის ანალიზი მოწმობს, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, ასეთი ცდა არაერთი ასეული ყოფილა. თანაც, საქმე მარტო ის არ არის, რომ სიტყვა „პროსტიტუციის“ არსის განმარტება მედიკოსებს, იურისტებს, სოციოლოგებს თუ მორალისტებს, ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული აქვთ: **თვით სიტყვების „მეძავობა“, „მეძავის“ გარკვეული ჩარჩოების შემოფარგვლა საკმაოდ რთულია.**

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ **თავად პროსტიტუციის ცნება ადამიანით უნდა შეიზღუდოს, ვინაიდან ის მხოლოდ მას – კულტურისა და საზოგადოებრივი წესრიგის შემოქმედს ახასიათებს...** როგორც კულტურის პროდუქტი, პროსტიტუცია ცხოველებში, ცხადია, შეუძლებელია, თუმცა თეორიულად იმის წარმოდგენა კი შეიძლება, რომ ისინიც შედიან ერთმანეთთან სექსუალურ ურთიერთობაში რაიმე შეღავათის, ვთქვათ, ნუგბარის მისაღებად. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ მაიმუნების ჯოგებში, მკვლევარები ისეთ ფაქტებს აკვირდებოდნენ, როცა ნუგბარის (ვთქვათ, თხილის თუ ბანანის) მქონე მდედრი ზურგით უტრიალდება მასთან მიახლოებულ აღგზნებულ მამრს, რითაც მას სექსუალურ ურთიერთობას „სთავაზობს“, რის მიზანი, უდავოდ, გემრიელობის შენარჩუნების სურვილია. სხვათა შორის, თურმე, ასევე იქცევიან ახალგაზრდა მამრებიც. ამდენად, ადამიანთან ახლო მდგომი პრიმატებიც იყენებენ სქესობრივ გამღიზიანებლებს უფრო ძლიერი ინდივიდებისგან გარკვეული შეღავათების მისაღებად, მაგრამ ეს უნდა განვიხილოთ არა როგორც ადამიანისთვის დამახასიათებელი პროსტიტუცია, არამედ როგორც მისი ჩანასახი, რომელიც ხშირად იჩენს თავს ასევე ნორმალურ, არაპროსტიტუირებულ მამაკაცსა და ქალს შორის.

ასევე პროსტიტუციის ჩანასახთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ავსტრალიელი მგალობელი ფრინველების ლაბადონსნების გასაოცარ ქცევებს, რომლებიც სწორედაც ამ მიზნით დიდი ოსტატობით გალამაზებულ ფანჩატურებს აგებენ, სადაც მამრები იკრიბებიან, მდედრების წინაშე თავიანთი ღირსების წარმოჩენას ცდილობენ და ყველანაირად კეკლუცობენ.

ასეთი ფანჩატურების შესასვლელებს ლაბადონსნების მამრები ფერადი კენჭებითა და ქსოვილებით, ნიუარებითა და ფერადი მინის ნატეხებით, თუთიყუშების ნაირფერი ნაკრტენებითა და კენკრით, ასევე ადამიანისთვის მოპარული წვრილ-წვრილი ნივთებით რთავენ.

ორგანიზებული პროსტიტუციის პირველი ცნობილი ორგანიზატორის, **ფილემონის** ცნობით, **სოლონი** (ჩ. წ.-მდე 630-560 წ. წ.) ყოფილა, რომელიც ქალებს ყიდულობდა და **„მამაკაცთათვის შეუზღუდავად მოსახმარებლად მზად ყოფნაში მყოფთ ერთი ობოლის (ძველი 7 გროშის) ფასად“ საჯაროდ გამოფენდა.**

პროსტიტუციის ამ უძველეს განმარტებაში უკვე აღნიშნულია მისი მთავარი ნიშნები: **სხვადასხვა პირთან სქესობრივი ურთიერთობის დამყარება, პარტნიორისადმი სრული გულგრილობა და თავის მომსახურებაში გასამრჯელოს აღება.** თანაც, თავად სიტყვა „პროსტიტუტი“, „მეძავი“, რომლის წარმოშობას ჩვეულებრივ, რომაელებს მიაწერენ, ჯერ კიდევ უკვე ნახსენები სოლონის მიერ მოწყობილი პირველ საროსკიპოს აღწერაშია აღნიშნული, როგორც „ბორდელში გასაყიდად მყოფი ქალი“. **რომაული სამართლით, პროსტიტუტი (მეძავი) არის ქალი, რომელიც შეუზღუდავად აკმაყოფილებს საზოგადოებრივ მოთხოვნას სქესობრივ სიამოვნებაზე.** მეძავთა კატეგორიას განეკუთვნებიან ასევე ის ქალებიც, რომლებიც ცთუნების, ძალადობის გზით, აიძულებენ სხვებს თავი საჯაროდ გაყიდონ, მაშასადამე მათ რიცხვში არიან შუამავლები (სუტენიორები), საროსკიპოებისა და სხვა ამდაგვარი დაწესებულებების მეპატრონეები.

თუკი ყოველივე ზემოთქმულს თავს მოვუყრით, მივიღებთ მეძავის შემდეგ ამომწურავ განმარტებას: **ესაა ქალი, რომელიც ფულადი სარგებლის მისაღებად, ანდა ასეთი მიზნის უქონლადაც, საჯაროდ ან მალულად, საკუთარ თავს, ან სხვა ქალებს, განურჩევლად ჰყიდის მამაკაცებზე.**

ეს გახლავთ რომაული სამართლის მიხედვით მეძავის კლასიკური განმარტება, რომელიც მოგვიანებით იურისპრუდენციაში საყოველთაოდ იქნა აღიარებული. იქ არაფერია ნათქვამი მამაკაცთა პროსტიტუციაზე, საერთოდ არ არიან ნახსენები მამაკაცები, რომლებიც საკუთარი სხეულით ვაჭრობენ, ანუ კაცთა სქესის პროსტიტუირებულ ჰომო და ჰეტეროსექსუალურ წარმომადგენლებზე.

(გაგრძელება იქნება)

ოვალურ სამყაროში

უკვე გაუწყეთ, რომ პირველი ქართული ფრენჩაიზი შავი ლომი ახალი სეზონიდან ჩელენჯ ქაფის გათამაშებაში ჩაებმება. ამ დღეებში დაზუსტდა ისტორიული ტურნირის „გ“ ჯგუფის კალენდარი და, როგორც მოსალოდნელი იყო, 2 მატჩს მიხეილ მესხის სტადიონზე გგავმართავთ და ამდენივეს – სტუმრად, ხოლო შოტლანდიურ ედინბურგს ამჯერად საერთოდ არ შევხვდებით.

9 დეკემბერი. შავი ლომი – გლოსტერი (ინგლისი).

15 დეკემბერი. სქარლეთსი (უელსი) – შავი ლომი.

13 იანვარი. კასტრი (საფრანგეთი) – შავი ლომი.

20 იანვარი. შავი ლომი – კლერმონი (საფრანგეთი).

* * *

საქართველოს შვიდქალას ნაკრებმა რაგბი ევროპის მეორე – ბუდაპეშტის ეტაპზე მიოგრაფიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა – მესამე ადგილი დაიკავა, ორი რაუნდის ჯამში კი ფინელებს მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩა და საბოლოოდ ტურნირი საპატიო მეოთხე პოზიციაზე დაასრულა.

ჯვაროსანთა შედეგები: ჯგუფში. დანიასთან – 15:5, მოლდოვასთან – 15:0, ფინეთთან – 10:12. მეოთხედფინალში – ლატვიასთან – 15:5. **ნახევარფინალში** – მომავალ ჩემპიონ უკრაინასთან – 0:33. **მატჩი მესამე ადგილისთვის** – ფინეთთან – 12:7.

* * *

იყო დრო, როცა ახალზელანდიელთა ხსენებაზე გვაკანკალებდა და მათგან წინასამატჩო ხაკას შესრულებისთანავე „თავკანტროლს“ ვკარგავდით. ეს თანაბრად ეხება როგორც ეროვნულ ნაკრებს, ისე უმცროს ბორჯღალოსნებს, რომლებიც თანატოლთა წინა მუნდიალებზე მრისხანე მეტოქესთან 0:55(!) და 13:45 განადგურდნენ.

კარგს არც სამხრეთ აფრიკაში დასრულებული 20-წლამდელთა წლევანდელი ფორუმის მე-7 ადგილისთვის გამართული შეხვედრის პირველი ტაიმი გვიქადდა, როცა ოლ ბლექსმა ლელოებით დაგვსეტყვა და 33:0 დაწინაურდა.

ასეთი კატასტროფული სტარტი მევრს დათრგუნავდა, მაგრამ **ლადო კილასონიას** გუნდი, პირიქით, გამოაფხიზლა და ჯერ შესვენების წინ დააბრუნა ბრძოლაში – 14:33, ხოლო თამაშის განახლებიდან მალევე სტელენბოშის სტადიონის უხარისხო მინდორზე ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ ფავორიტი ტურნირზე მესამე მარცხის პირას აღმოჩნდა – 26:33.

მართალია, საბოლოოდ დავმარცხდით – 26:50 და მერვე ადგილი დავიკავეთ, მაგრამ ყველას დავუმტკიცეთ, რომ უკვე სულ სხვა მენტალიტეტი და საკუთარი ღირსებები გვამკობს.

ფინალი. საფრანგეთი – ირლანდია 50:14.

◎ ხალიჩაზე

ამაოდ ველოდით

შარშანწინ 6 აგვისტო ოლიმპიურ ტოკიოში ხიროსიმის ტრაგედიის მორიგ თარიღს დაემთხვა. რას წარმოვიდგენდით, რომ კოვიდპანდემიის გამო მოგვიანებით გამართული თამაშების მოჭიდავეთა ტურნირზე ქართულ დელეგაციასაც უდიდესი სტრესი ელოდა.

საუბარია ყველაზე პრესტიჟული – მძიმე წონის ფინალური ბრძოლის უკანასკნელი წამის დრამატულ ეპიზოდზე, როცა გენო პეტრიაშვილმა ორქულიანი ილეთი გაუშვა ამერიკელი გეიმლ სტივენსონისგან და მაშინდელ ვერცხლს დღემდე მოუშუშებელ იარად გულით დაატარებს.

ჩვენს საამაყო ფალავანს რევანშის შანსი ამ დღეებში ბუდაპეშტის ხალიჩაზე უნდა მისცემოდა, მაგრამ უნგრული სპორტის ლეგენდის – იმრე პოიაკის სახელობის სარეიტინგო ასპარეზობის წინასწარ განაცხადში დარეგისტრირების მიუხედავად, იქ არც ჯვაროსანი ჩავიდა, არც ოკეანისგაღმელი ტრიუმფატორი და არც 2016 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული, მსოფლიოს 3-გზისა და ევროპის 10-გზის ჩემპიონი თურქი ტაჰა აკგული.

ლიდერის არყოფნაში ვერცხლი ვლადიმერ გამყრელიძემ (79 კგ) დაიმსახურა, ხოლო ბრინჯაო – გივი მაჭარაშვილმა (97 კგ).

◎ ნერვოტურნირები

ნაცნობი ფირფიტა



არ გეგონოთ, რუბრიკაში კორექტურა აღმოაჩინეთ – უბრალოდ, ჩვენ თვითონ შეგნებულად დავუშვით შეცდომა და ახლახან დაწყებული პოპულარული საფეხბურთო საკლუბო ტურნირები ევროპულის ნაცვლად სანერვიულოდ მოვნათლეთ.

მიზეზი ბანალურია – ტრადიციისამებრ, ქართული გუნდები ამა თუ იმ მიზეზით თავის მართლების რეჟიმში არიან ჩავარდნილნი და ისე გვაბოლებენ, რომ წინასწარ გვაგუებენ კრახს.

მართალია, ამჯერად მხოლოდ ერთმა წააგო სასტარტო შეხვედრა, ისიც სტუმრად და თანაც მინიმალური სხვაობით, მაგრამ, სამაგიეროდ და სამწუხაროდ, ერთმაც კი ვერ მოიპოვა გამარჯვება.

კი, ბატონო – ვითვალისწინებთ, რომ ქართული კვარტეტიდან მხოლოდ ერთმა ითამაშა შინ, მაგრამ საინტერესოა – უეფა თუ ითვალისწინებს დასახელებულ ფაქტორს სეზონისწინა რეიტინგების შედგენისას ან იმ ქვის გამხეთქავ არგუმენტს, რომ ზოგან ხელოვნურსაფარიან გაზონზე გვათამაშეს, ზოგან ძალიან ცხელოდა და ზოგ-ზოგიერთებმა დებიუტანტთა სიმრავლის გამო შეთამაშება ჯერაც ვერ მოასწრეს?

რაღაც, არა გვგონია.

ჩემპიონთა ლიგა

ასტანა – დინამო (თბილისი) 1:1.

კონფერენს ლიგა

ტორპედო – სარაევო (ბოსნია) 2:2.

ტირანა – ბათუმი 1:1.

დუნაისკა სტრედა – დილა 2:1.

◎ ლეგიონერი

ნუკრი რევიშვილი:

კვერნაძე კვარაცხელიასგან განსხვავდება. ვურჩევ, რომ არ დაკმაყოფილდეს და იშრომოს

საქართველოს ნაკრების ყოფილმა მეკარემ ნუკრი რევიშვილმა, რომელიც ამჟამად მამუკა ჯუღელთან ერთად ტრანსფერებზე მუშაობს და გიორგი კვერნაძის ერთ-ერთი აგენტია, „ფროზინონეში“ ქართველი შემტევის გადაბარგებაზე ისაუბრა.

მან Tuttofrosinone-ს განუცხადა, რომ კვერნაძე მშვიდი ბიჭია და შეუძლია „ფროზინონეში“ წარმატებას მიაღწიოს. რევიშვილის თქმით, გიორგიმ ბევრი უნდა იმუშაოს და საკუთარი თავით კმაყოფილი არ უნდა იყოს.

„ყველაფერი გაზაფხულიდან დაიწყო. მაშინვე მივხვდით, რომ „ფროზინონეს“ ინტერესი ნამდვილად სერიოზული იყო. ტრანსფერის შუამავლის დარიო პაოლილოს როლი მართლაც ფუნდამენტური იყო. როცა დაგვიკავშირდა, მივხვდით, რამდენად ძლიერი იყო მისი ინტერესი გიორგის მიმართ. მასთან მუშაობა სასიამოვნო იყო. მერე კი მამუკამ საქმე შესანიშნავად დაასრულა და ბიჭი სერია A-ში მიიყვანა კლუბის სპორტულ დირექტორ ანჯელოცისთან შეხვედრამ ძალიან გამახარა. ის ფანტასტიკური ადამიანია, გარდა იმისა, რომ ნამდვილი პროფესიონალია.

გიორგი არის ფეხბურთელი, რომელიც ბურთთან ერთად ძალიან სწრაფია. ეს ერთ-ერთი მისი ძლიერი მხარეა. შეუძლია რიცხობრივი უპირატესობის შექმნა დრიბლინგების მეშვეობით, ბურთის ფლობით. გარდა ამისა, შეუძლია შეტევაში ნებისმიერ პოზიციაზე ითამაშოს.

გიორგის ბევრი ადარებს ხვიჩას, მაგრამ, ჩემი აზრით, განსხვავებული ფეხბურთელები არიან. უფრო მეტიც, კვერნაძეს ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი. გიორგი მშვიდი ბიჭია და ნებისმიერ სიტუაციაში ოპტიმისტია. პირველად რომ ვნახე, 17 წლის იყო და გაოცებული ვიყავი მისი თამაშით. ვუსურვებ, რომ „ფროზინონესთან“ ერთად დიდ შედეგებს მიაღწიოს. ვურჩევდი, რომ იშრომოს და არასოდეს დაკმაყოფილდეს მიღწეულით“, – თქვა რევიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი კვერნაძე „ფროზინონეს“ ფოთის „კოლხეთიდან“ ერთწლიანი იჯარით და გამოსყიდვის უფლებით შეუერთდა. იტალიური კლუბი სერია A-ს პირველ ტურში 19 აგვისტოს „ნაპოლის“ უმასპინძლებს, ჩვენმა თანამემამულემ კი სადებიუტო ამხანაგურ შეხვედრაში მონდრაგონესთან გოლი გაიტანა და მსუბუქი ტრავმის გამო შეცვალეს.

◎ ბატუტზე ხტომა

ტრადიციის ერთგულნი

ჩინელთა ჰეგემონიის ფონზე ბატუტზე ხტომის ქართველი ოსტატები ღირსეულად წარმოაჩენენ სამშობლოს და უმაღლესი რანგის ოფიციალური საერთაშორისო ტურნირებიდან შინ თავაწეულნი ბრუნდებიან.

გამონაკლისს არც ამ დღეებში პორტუგალიის ქალაქ სანტარემში გათამაშებული მსოფლიოს თასი წარმოადგენდა, სადაც ჯვაროსანთა კვარტეტი გაემგზავრა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ზაურ სულაშვილის თავკაცობით.

მათგან განსაკუთრებით იყოჩაღეს **ანანო აფაქიძემ** და **მარიამ რაგიმოვამ,** რომლებმაც 20 წყვილთან მძაფრ კონკურენციაში სინქრონულ ხტომებში ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს. რაც შეეხება ინდივიდუალურ ხტომებს, მათთან ერთად კვალიფიკაცია წარმატებით დაძლია აგრეთვე ლუბა გოლოვინამ, თუმცა ფინალში ვერავინ გააღწია.

◎ კორტზე

ჩეხური ალბიონი

უიმბლდონის ქალთა თანრიგის ფინალში მარკეტა ვონდროუშოვამ უნს ჟაბური დაამარცხა და ჩემპიონი გახდა.

24 წლის ჩეხი ჩოგბურთელის ტრიუმფი სენსაციაა, რადგან WTA-ს რეიტინგში მხოლოდ 42-ე ადგილზე იყო, ხოლო უიმბლდონზე სულაც განთესვის გარეშე თამაშობდა! ის ქალთა უიმბლდონის ისტორიაში პირველი ჩემპიონია, რომელიც ამ ტურნირზე, მას მერე, რაც ის გრანდ სლემია, განთესილი არ იყო. ცხადია, მარკეტას კარიერაში ეს არის პირველი გრანდ სლემის ტიტულიც.

ფინალური შეხვედრა ჩეხმა საათსა და 22 წუთში, 6:4, 6:4 მოიგო. ორივე სეტში ჟაბური იგებდა, მაგრამ ვონდროუშოვამ დაიქამბექა. პირველ სეტში ტუნისელი 4:2-ს იგებდა, მაგრამ ზედიზედ 4 გეიმი დათმო და სეტებში ჩამორჩა, ხოლო მეორე სეტში ჟაბური წინ 3:1 გაიჭრა, მაგრამ მერე ისევ გაანიავა უპირატესობა და სეტთან ერთად შეხვედრაც წააგო. შეგახსენებთ, რომ ტუნისელი შარშანაც გავიდა ფინალში, მაგრამ ყაზახ ელენა რიბაკინასთან დამარცხდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უიმბლდონის პირველი აფრიკელი ჩემპიონი გახდებოდა.

„მთავრობა, მიყვარხარ, ცოლო...“

„მთის დღეები“ მთელი საქართველოს მასშტაბით აღინიშნა

თუშეთი

მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით „მთის დღეებს“ თუშეთმა უმასპინძლა. ტერიტორიაზე მოსულ, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ვიზიტორებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ცნობილი თუშური სამზარეულო. გაიმართა სხვადასხვა, მთის თემატიკისთვის დამახასიათებელი ღონისძიება. მთის დღე თუშეთში მუსიკალურად გააფორმეს ანსამბლმა „გორდელამ“ და „ოჩოს ქოხმა“.

თუშეთში მთის დღის აღნიშვნას ვიზიტორებთან ერთად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, **ილია მეგიაშვილი,** კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, **გიორგი ალადაშვილი** და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი, **ალექსი ფიცხელაური** დაესწრნენ.

რაჭა

მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით რაჭაში „მთის დღეებს“ შოვმა უმასპინძლა. რაჭაში „მთის დღეების“ ღონისძიების გახსნას, პრემიერ-მინისტრი დაესწრო. პროგრამა გასართობ და მუსიკალურ ღონისძიებებსა და სპორტულ შეჯიბრებებს მოიცავდა. ცნობილმა მზარეულებმა, კი ტრადიციული კერძები მოამზადეს.

ფესტივალის ფარგლებში მთის ერთგულებისთვის და მთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ტყის მცველები დააჯილდოვეს. „მთის დღეები“ საქართველოს მთავრობის და უშუალოდ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, მეორე წელია იმართება. ფესტივალის ფარგლებში შეფვებმა – ლევან კობიაშვილმა და **დიმიტრი შარაშიძემ** კულინარიული მასტერკლასი ჩაატარეს. სტუმრები გაეცნენ მთის ხინკლის ისტორიას, საფესტივალო სივრცეში გამოფენილი იყო ადგილობრივი მეწარმეების გამოფენა-გაყიდვა, ეთნოგრაფიული შემეცნებითი კუთხე.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყო სპორტული აქტივობები და შემეცნებითი ტურები. შოვში, „მთის დღეების“ მუსიკალურ პროგრამაში მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი მუსიკალური ჯგუფები და მომღერლები, როგორებიც არიან: დიჯეი Levi Love Disco, ნოდარიკო ხუციშვილი და გენდი, მარიამ გალოგრე, ნინი ასილიანი. საღამოს კოცონთან შეკრებილ სტუმრებს ნიკა წულუკიძემ, გელა დონაძემ და კვარტეტმა უმასპინძლა.



იმერეთი

„მთის დღეებს“ იმერეთში სოფელმა გორდმა უმასპინძლა. მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობები მიმდინარეობდა.

მოწყობილი იყო საბავშვო სივრცეები, ჩატარდა მასტერკლასები. საღამო, კონცერტით დასრულდა.

სტიქია მსოფლიოში

რეკორდულად მაღალი ტემპერატურის გამო და ასევე უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით ათენის აკროპოლისი დღის საათებში დაიხურა.

გარდა ამისა, საბერძნეთის ხელისუფლებამ პარკების დახურვის გადაწყვეტილებაც მიიღო. გასულ დღეებში სითბური ინსულტის გამო ადამიანების გონების დაკარგვის საკმაოდ ბევრი შემთხვევა დადასტურდა. ავარიების გაზრდილი რისკის გამო „წითელი ჯვრის“ მოხალისეები მორიგეობენ, ისინი ტურისტებს სასმელ წყალს სთავაზობენ. ხელისუფლება მოსახლეობას სიცხესთან დაკავშირებით სიფრთხილისკენ მოუწოდებს და ხანძრის საშიშროების გაზრდის შესახებ აფრთხილებს.

* * *

მაშველებმა სამხრეთ კორეის ცენტრალურ ნაწილში, წყალდიდობის შედეგად დატბორილ გვირაბში ჩარჩენილი მანქანებიდან შვიდი გვამი ამოიყვანეს.

მასშტაბური სამძებრო-სამაშველო ოპერაცია, რომელშიც 400 მაშველი და მყივნთავი ჩაერთო, შაბათს, 15 ივლისს დაიწყო მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ ჩუნგჩეონგის პროვინციაში მდინარე მიჰოს ნაპირი ჩამოიშალა და განგპიონგის ჩახერგილ გვირაბში 15 მანქანა, მათ შორის საზოგადოებრივი ავტობუსი ჩარჩა.

* * *

ჩინეთში ძლიერი წვიმის გამო მოსახლეობის მასობრივი ევაკუაცია მიმდინარეობს.

ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ჩონგინგის მუნიციპალიტეტში ძლიერი წყალდიდობის გამო 15 ადამიანი დაიღუპა. მედიის ცნობით, ამ დროისთვის ჩონგინგის პროვიცნიიდან 2 600-ზე მეტი ადამიანია ევაკუირებული, ხოლო სიჩუანის პროვინციიდან ევაკუირებულთა რიცხვი 40 000-ს აღემატება.

ჩინეთის მეტეოროლოგიური სამსახურის ცნობით, მომდევნო დღეებში ინტენსიური წვიმაა მოსალოდნელი ჩრდილოეთ ჩინეთის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებში. ჩრდილოეთ ჩინეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენების ფონზე განგაშია გამოცხადებული.

* * *

ესპანეთის კუნძულ ლა პალმაზე ტყის ხანძრის გამო მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო.

როგორც პუნტაგორდას მერმა განაცხადა, ესპანეთში ტყის ხანძარი გუშინ დილით, ტემპერატურის მკვეთრი ზრდის ფონზე გაჩნდა.

„შესაძლოა, ევაკუირებულთა რიცხვმა 1 000-ს გადააჭარბოს. ეს დამოკიდებულია იმაზე, შევძლებთ თუ არა ამ ძლიერი ქარის კონტროლს“, — ნათქვამია მერის განცხადებაში. პუნტადაგორდას მერის თქმით, ხანძრის შედეგად 140 ჰექტარი უკვე განადგურებულია.

მუხთალი

წუთისოფელი...

საქართველოს სახალხო მხატვრის, მოქანდაკე ჯუნა მიქატაძის შვილიშვილი და ცნობილი მსახიობის გია ფერაძის შვილი, საოცრად ტრაგიკული ბედის მქონე ულამაზესი მარიკა მიქატაძე საბერძნეთში, ქუჩაში მიმავალი მოულოდნელად ცუდად გახდა და... გარდაიცვალა.

...წლების წინათ მამის მიერ ციხეში დაწერილი ამ ტკივილიანი ლექსით ვუსამძიმრებთ მარიკუნას ოჯახს და მის დიდ სამეგობროს ამ ბედკრული ახალგაზრდის ზეციურ სასუფეველში გაფრენს...

მარიკუნა მიქატაძეს

ქუჩა ნაწვიმარია, ფოთლებია ფენილი.
სად იჩქარის მარიკა, ჩემგან ობლად შთენილი.
უკან მისდევს ცუგრია, არ წყინდება ხტუნება.
შვილო, როგორ მწყურია შენი ჩახუტუნება.

მართლა საით მიდიხარ, მაგ ფერადი ბუშტებით.
ოი, როგორ მინდიხარ, მკერდს ვილეწავ მუშტებით.
ბავშვმა დედა არ იცის, რომ სითბოდ მოჰფენოდა,
ვეღარ ისმენს მის სიცილს, მერე რარიგ შვენოდა.

მამა ჯერ ცოცხალია, მარიკასთვის – ლეშია,
ვა რა დიდი ბრალია, რომ ცივ სიბნელეშია.
რომ გაგიცნობ ცხადია, ჩემო თეთრო თოლია,
ვინც კი დანაბადია, ყველას მამა ჰყოლია.

გაცნობა კი მოხდება, როს მიხილავ ცხედარად.
მაშინ ალბათ არ იტყვი: რად, მომიკალ დედა, რად!
მაშინ შეგებრალები, დაბრუნდება ღირსებაც.
ეს ლამაზი თვალები ცრემლით ამოივსება.

ციმბირიდან გიყურებ, მარი, ჩემო ყველაო.
აბარტყუნებს დიდ ყურებს, შენი ცუგრიკელაო
ქუჩა ნაწვიმარია, ფოთლებია ფენილი.
ჰა, ეს ლექსიც მარიკა, შენსკენ გამოფრენილი.

გია ფერაძე

არასრულწლოვანი ბიძაშვილი ცოლად მოყვანის მიზნით გაიტაცა!

ფონიჯალაში 22 წლის ბიჭმა არასრულწლოვანი გოგო, რომელიც ბიძაშვილად ეკუთვნის, ცოლად მოყვანის მიზნით გაიტაცა.

როგორც Newshub.ge-ს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულია ოთხი პირი. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით დაიწყო, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს და ორიდან ოთხ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ისჯება. არსებული ცნობით, არასრულწლოვანი ქორწილიდან მანქანით გაიტაცეს.

მასობრივი სროლები ჯორჯიაში

დასავლეთ ჯორჯიის შტატის ქალაქ ჰემპტონში მასობრივი სროლის დროს, სულ მცირე, ოთხი ადამიანი დაიღუპა. ეჭვმიტანილი ჯერჯერობით არ დაუკავებიათ.მედიის ცნობით, ეჭვმიტანილმა ანდრე ლონგმორმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა ოთხი ადამიანი – სამი მამაკაცი და ერთი ქალი.

„დღეს არის სამწუხარო დღე ჰემპტონში. ეს არ არის ნორმალური ჩვენთვის და როგორც პოლიციის დეპარტამენტი, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დამნაშავე მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს“, – ნათქვამია ჰემპტონის პოლიციის დეპარტამენტის განცხადებაში. სროლის მოტივი ჯერჯერობით უცნობია. ნებისმიერი ინფორმაციისთვის ჯილდოს სახით 10 000 დოლარია დაწესებული. ქვეყნის შერიფმა მოუწოდა მოსახლეობას, რომ ლონგმორის გამოჩენის შემთხვევაში არ მიუახლოვდნენ მას, რადგან ვარაუდობენ, რომ ეჭვმიტანილი შეიარაღებულია.

ბრუნო ვეფხვაძე სოთბის აუქციონზე

ბრუნო ვეფხვაძე დაიბადა 1986 წლის 20 თებერვალს თბილისში, დიდი მხატვრის, ჯოვანი ვეფხვაძის ოჯახში და ვეფხვაძეების სამხატვრო დინასტიის მეოთხე თაობის წარმომადგენელია.

მისი ნამუშევრები დაცულია პირად კოლექციებში, ასევე იტალიაში, თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვეფხვაძეების დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი დღეს მსოფლიო ყურადღების ცენტრშია. მისი ნამუშევარი „რომაული გაზაფხული“ წარდგენილია სოთბის აუქციონზე. აუქციონი 14 ივლისს დაიწყო.

ნამუშევარი წელს მე-16 საერთაშორისო კონკურსის ARC Salon (აშშ) ნატურმორტის კატეგორიის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა.

კონკურსის ორგანიზატორის Art Renewal Center-ის ეგიდით აუქციონზე გატანილია 60 ნამუშევარი 25 ქვეყნიდან – ძირითადად გამარჯვებული და ფინალისტი ნიმუშები. აუქციონის პარალელურად ნიუ-იორკში სოთბის საგამოფენო დარბაზში გამოფენა გაიმართება.

ქართველი პოეტების წარმატება

ქართველმა პოეტებმა ეკა ქევანიშვილმა და გიორგი ლობჟანიძემ უდიდეს წარმატებას მიაღწიეს. მათი ლექსების კრებულები გამოიცა საფრანგეთის ყველაზე დიდი პოეზიის გამომცემლობის სერიით „თანამედროვე ევროპული პოეზია“, რომლისთვისაც ლექსებს ძალიან მაღალი სტანდარტებით არჩევენ. **გულწრფელად გილოცავთ!**

ქართველი ტყუპი დები NETFLIX სერიალში



„ნეტფლიქსის“ ფილმში „Extraction 2“ ქართველ მსახიობთა ახალგაზრდა თაობის მთელი თანავარსკვლავედი მონაწილეობს: ირაკლი კვირიკაძე, თორნიკე გოგრიჭიანი, თინა დალაქიშვილი, დავით ბახტაძე. მათთან ერთად 9 წლის ტყუპი დები მართა და მარიამ კოვზიაშვილებიც არიან ამ ფილმის პატარა ვარსკვლავები.

2021 წელს ტყუპები მარიამ და მართა კოვზიაშვილები, „ნეტფლიქსის“ ფილმში „Extraction 2“ როლზე დაამტკიცეს. მშობლებს თავი სიზმარში ეგონათ. კარგა ხანს ვერ იჯერებდნენ იმას, რაც 2021 წლიდან მათ ცხოვრებაში ხდებოდა. რეალობას თვალი მხოლოდ მას შემდეგ გაუსწორეს, რაც ფილმის მსოფლიო პრემიერა შედგა და ფილმი მსოფლიო ეკრანებზე გამოვიდა. პრემიერაზე ნიუ-იორკსა და ბერლინში თავადაც იყვნენ.

ტყუპებს სოციალურ ქსელში მიაგნეს. დედას ბოლომდე არ სჯეროდა მსგავსი საოცრებების. რამდენიმე ეტაპიანი შესარჩევი კონკურსის შემდეგ, მართა და მარიამი ფილმზე დაამტკიცეს. პატარა გოგონები გადასაღებ მოედანზე ნამდვილი პროფესიონალებივით იქცეოდნენ და დღეს ოჯახთან ერთად მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყნებში ფილმის პრემიერებზე.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

ნახევარსაუკუნოვანი ღვაწლი



მხატვარ ლევან ჭოღოშვილის პირველ მასშტაბურ სოლო გამოფენას საერთაშორისო გამოცემა The Art Newspaper გამოეხმაურა. გამოფენა „ათინათის“ კულტურის ცენტრში გაიმართა.

ტილო, ზეთი, ტემპერა, მუყაოს ქაღალდი და შერეული ტექნიკა, 40 ნამუშევარი და 5 ვიდეოარტი – ეს მხატვრის მიერ 50 წლის განმავლობაში ყველა მედიუმში შექმნილი ნამუშევრების ყველაზე მასშტაბური გამოფენა იყო. ჭოღოშვილის მხატვრობის თემას უმთავრესად პორტრეტი შეადგენს. მის შემოქმედებაში გვხვდება ქართველი არისტოკრატების ჯგუფური პორტრეტები, საქართველოს მეფეთა პორტრეტების სერიები, რელიგიური თემატიკა, საქართველოს ისტორიის ამსახველი სურათები, ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟთა სახეები.

ტკივილგამაყუჩებლები ქაღალდის ნარჩენებისგან

ბათის უნივერსიტეტის მკვლევრებმა იბუპროფენისა და სხვა ტკივილგამაყუჩებლების დასამზადებლად ქაღალდის წარმოების ნარჩენები გამოიყენეს.

გამოქვეყნებულ კვლევაში მეცნიერთა ჯგუფი ამ მეთოდით პარაცეტამოლისა და იბუპროფენის წარმოებას აღწერს. ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების მწარმოებლების უმეტესობა დღეს ამ მიზნით ნედლი ნავთობისგან მიღებულ ქიმიურ პრეკურსორებს იყენებს. 2019 წელს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, წამლის მწარმოებელი კომპანიები საავტომობილო ინდუსტრიაზე უფრო მეტ ნახშირორჟანგს გამოყოფენ. მიუხედავად გარემოზე შესაძლო პოზიტიური გავლენისა, ტკივილგამაყუჩებელი წამლების ამ გზით წარმოება უფრო ძვირია.

„ჰოლივუდი“ გაიფიცა

ჰოლივუდის მსახიობების გაფიცვა, შესაძლოა, წლის ბოლომდე გაგრძელდეს, – განაცხადა მსახიობმა ბრაიან კოქსმა. ათასობით მსახიობი შეუერთდა სცენარისტების ყველაზე დიდ გაფიცვას, რაც ექვს ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ჰოლივუდში მომხდარა.

კინომსახიობთა გაერთიანება შეუერთდა ამერიკის მწერალთა გილდიას საბაზისო ანაზღაურების გაზრდის მოთხოვნით. ისინი ასევე ითხოვენ გარანტიებს, რომ მათ სამუშაოებს ხელოვნური ინტელექტი არ ჩაანაცვლებს. მსახიობები შიშობენ, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესაძლებელი გახდება მათი ხმებისა და სახეების ჩანაცვლება.

წითელი ხალიჩის პრემიერები, სარეკლამო ინტერვიუები და ღონისძიებები, მათ შორის, Emmys და Comic-Con, უკვე შეჩერებულია.

თეთრ სახლში განაცხადეს, რომ აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენს **„სჯერა, ყველა მუშაკი, მათ შორის, მსახიობები იმსახურებენ სამართლიან ანაზღაურებას“.**

მედიის ცნობით, აღნიშნული გაფიცვები, სავარაუდოდ, დიდ დარტყმას მიაყენებს ინდუსტრიას, გამოიწვევს მრავალი წარმოების შეჩერებას შეერთებულ შტატებსა და მის ფარგლებს გარეთ.

იტალიას აეროპორტები აკოტრებენ!

იტალიაში აეროპორტებისა და ავიაკომპანიების თანამშრომლების მასობრივი გაფიცვის გამო 1 000-მდე ფრენა გაუქმდა, რის გამოც 250 000 მგზავრი დაზარალდა.

გაფიცული თანამშრომლების მთავარი მოთხოვნა ხელფასის ზრდა და უკეთესი სამუშაო პირობებია. როგორც მედია წერს, გაფიცვა მოიცავს ქვეყნის ყველა აეროპორტს. რომის „და ვინჩის“ აეროპორტში 200-მდე ფრენა გაუქმდა. ასევე გაუქმდა ასობით ფრენა მილანის, ვენეციისა და ნეაპოლის მთავარ აეროპორტებში. ავიაკომპანიებმა რამდენიმე დღით ადრე აცნობეს მგზავრებს ფრენების გაუქმების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ბურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 19 ივლისს

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.5771; ევრო - 2.8910;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3778;
100 რუბლი - 2.8595; თურქული ლირა - 0.0985;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5159;
1000 სომხური დრამი - 6.6664

ამინდი 17 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+13,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე +26
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+15,	დღე +28
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე +25
თბილისი:	ღამე	+18,	დღე +28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge